# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 224 შაბათი, 10 ოქტომბერი 1909 წ. № 224

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოეულ ხაზამდის 4 საათამდე ღირს 3 მ.. ღამის საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დაბეჭდვი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ხელახლა არ ზება. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ ოქტომბრიდან წლის ბოლომდე 3 მან., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური — დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.


დავით გიორგის ძე და ანასტასია დავითის ასული, ნატალია, ელენე, ივანე და ნიკოლოზ დავითის ძენი და ასულნი და სოფიო არტემის ასული კიკნაძენი და პავლე ანტონის ძე კალატოზიშვილი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი ორი—საყვარელ შვილის, მეორენი—ძმის, მესამე—მაზლის, ხოლო უკანასკნელი—ცოლის ძმის

### მიხეილ დავითის ძის კიკნაძისას.

პანაშვიდი დღეს საღამოს 6 საათზე, პანასევიჩის ქ,. № 27 (მე-8 ნაწ.). გამოსვენება ნათლულის საავადმყოფოდან ხვალ, დილის 9 ს. ბინაზე და იქიდან დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. (1—უ.—1)

ამხანაგები მწუხარებით აცხადებენ გარდაცვალებას

### მიხეილ დავითის ძის კიკნაძისას.

პანაშვიდი დღეს საღამოს 6 საათზე, პანასევიჩის ქუჩა, № 27, მე-8 ნაწილი). გამოსვენება ნათლულის საავადმყოფოდან ხვალ, დილის 9 ს., ბინაზე და იქიდან დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. (უ. 2—1)

შაბათს 10 ოქტომბერს, კუკიის სასაფლაოს წმ. ნინოს ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი

### სალომე კონსტანტინე ასა თიანის ასულის მერკვილაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ნოშრევან, გოგია და იოსებ მერკვილაძენი და დედა განსვენებულისა ელისაბედ ასათიანისა. წირვა დაიწყება $10^{1/2}$ საათზე; პანაშვიდი წირვის შემდეგ. (1—496—1)

კნეინა ბარბარე რაფიელის ასული ხიმშიაშვილისა შვილებით განუსაზღვრელის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ რომ 7 ოქტომბერს სოფ. აბანოს ხევში (დუშეთის მაზრა) მოჰკლეს საყვარელი მეუღლე და მეორეების მამა

### ნიკოლოზ გიორგის ძე ხიმშიაშვილი.

(1—499—1)


წარმოდგენა № 5. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 5

◀ იაფ-ფასიანი—სახალხო წარმოდგენა ▶

შაბათს, 10 ოქტომბერს, 1909 წელს

ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პიესა ა. ოსტროვსკისა.

## უდანაშაულოდ დამნაშავენი

4 მოქმედებად თარგ, ივ. მაჭავარიანისა.

მონაწილეობას იღებენ ქ-ნნი ნ. კოლხიდელი, მ. მდივანი, მ. ქილარჯიშვილი, ა. ჩერქეზიშვილი, ან. ჩიргაძე; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარამძე, ვ. მატარაძე, ი. ყიფიძე, ი. ზარდალიშვილი.

ადგილების ფასი: ლოჟები 3 მ.-დან 2 მ.-მდე, პარტერი 1 მ.-დან 40 კ.-მდე, გალერეია 20 კ.-დან 10 კ.-მდე, მოწაფეთათვის 25 კაპ.

დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზე.

მორიგი რეჟისორი კ. შათირიშვილი.

წარმოდგენა № 6. კვირას, 11 ოქტომბერს, 1909 წ. წარმოდგენა № 6.

ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ან. ჩირგაძის და ნ. კოლხიდელის, ვალ. გუნიას და შ. შარაშიძის მონაწილეობით ცნობილი პიესა ა. სუმბათაშვილისა.

## ლალატი

ლეგენდა-დრამა 5 მოქმედებად. თარგ. გ. ყიფშიძისა.

ზეინაბის როლს შეასრულებს ქ-ნი ან. ჩირგაძე რუქაიასას—ნ. კოლხიდელი. ოთარ-ბეგისას—ვალ. გუნია.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ტასო აბაშიძე, ნ. კოლხიდელი, ბ. ნებიერიძისა, ნ. ჩავჩავაძე; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარამძე, ი. ივანიძე, ი. იმედაშვილი-ხამხელი, ვ. მატარაძე, ი. ზარდალიშვილი, შ. საფაროვი.

ადგილების ფასი: ლოჟები 12 მ. 50 კ.-დან 5 მ.-მდე, პარტერი 3 მ. 50 კ.-დან 1 მ. 60 კ.-მდე, გალერეია 40 კ.-დან 20 კ.-მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ.

დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.

მზადდება წარმოსად. „აი გიდი მეგობრებო".

მორიგი რეჟისორი ვ. აბაშიძე. რეჟისორის თანაშემწე ვ. ურუშაძე.

დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სხივ. ჟურნალისტ მ. გედევანიშვილისა. იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, ხაჭუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (0—ნ.—78)

**ექიმი** კბილისა ნინო რცხილაძე იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა, N 25.

**ექიმი** მ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ქსენიას ქუჩა, სახლი № 7, „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ბალარჯიშვილი ვ. დ.** შინ. და ბავშვ. ყოველ-დღე, გარდა კვირისა 2—3 ს.

**ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; კვ. გარდა 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. $10^{1/2}$—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^{1/2}$—$3^{1/2}$ ს.

**მალალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ხუთშ., და შაბ. 1—2 ს.

**მელიქიშვილი ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—$2^{1/2}$ ს.

**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ დღე 11—12 საათ.

**პაპოვი ბ. ა.** ყურ,, ყელის და ცხვირ. ყოვ. დღე, გირდა პარას. 2—$2^{1/2}$ ს.

**რცხილაძე ნ.** კბილ. ყოვ. დღ. 9—10 ს.

**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურ. ყოვ. დღ. 9—11 საათამ.

**თიკანაძე ი. ე.** დედაკ. საბებიო ყოველ დღე 1—2 ს.

**ფედოროვი ე. გ.** მიკრ , ქირ.-ბაქტ. გამოკვლევა. (100—ნ.—8)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ს. ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ა. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^{1/2}$—$12^{1/2}$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშ., შაბ. 2—$2^{1/2}$ ს, თვალისა.

**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—176)

**ექიმი** ლ. ნ. ოჯანჯანოვი ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიცისა ბერლინში, სპეციალურად: საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის კუთხე.) (100—ზალ.—33)

**ექიმი** კაკიტელაშვილი ქუთაისში 9 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს სოლომონის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან. მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით —11 ს .საღამოთი 5—7 ს. (100—ნ.—86)

**ექიმი** კ. ს. ფონ-ირტელი არჩენს სპეც. თირკმ., საშ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქეს. უძლ., სისუსტ., ქრონ., ტრიპერი) ელექ.-სამკ. კაბ. დილ. 9—12 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. ძეგლ., მონუმენტის შეს. N 5, ს. მაფრანოვისა, ბუფ. გვერდზე. (100—ზალ.—19)

**ექიმი** ვ. ლამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

## სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა მუდმივ კრაოტებით.

მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

ავადმყოფთა მიღება:

**მ. ალაჯანოვი**—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.

**ნ. ათენიანცი**—ყურ., ცხვირ. და ყელ. 1—2 ს.

**ვ. ვნუკოვი**—ქირურგიული ავად. 1—2 ს.

**ი. ეგიაზაროვი**—ნერ. და შინ. 11—12 ს.

**მ. კიმონტი**—ქირურგ, ავად. 11—12 ს.

**მ. მაგაკიანი**—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

**ლ. მონინა**—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ,

**ა. კალმიკოვა-ვნუკოვა**— ქალის ავად. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტეორ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. საავადმ. განყოფილება შესდგება საზოგ. პალატებისა და ცალკე ოთახებისაგან. (100—ზალ.—25)

### ქუთაისში

კბილის ექიმის დ. ს. რიჟინაშვილის კაბინეტთან გაიხსნა

## სამკურნალო

პირის და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიხრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. ვიტუშინსკის აფთიაქის გვერდით. (100—ნ.—15)

**ექიმი**-სპეციალისტი ქ. ქუთაისში ჩარექოვი იღებს განსაკუთრებით სიფილისიან, ვენერიულ და კანით ავადმყოფებს. ილია ჭავჭავაძის ქუჩა (გეგუთის ქუჩა) აბულაძის მეხანძვევი, იოსელიანის სახლი. დილით 12—2 ს., საღამ. 5—6 ს. (25—ფ —1)

**ექიმი** ქუთაისში კ. თ. ტყეშელაშვილი იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე ძილის, ბუშტის და თირკმლების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (0—კვ.—79)

**ექიმი** ვასილ წერეთელი ქუთაისში იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., შოხე ქიქოძის სახლი. (0—უ.—20)

ქართველ ქალთა ამხანაგობის

## სამკერვალო სკოლაში,

უფროს განყოფილებაში ჭრაკერვისა არის რამდენიმე თავისუფალი ვაკანსია. საჭიროა წერა-კითხვის ცოდნა და ცოტაოდენ ანგარიშისა, გაზაფხულზე ეგზამენის შემდეგ მოწაფეები მიიღებენ ხელოსნის ხარისხის ატესტატს.

ადრესი: ვერა, გაბაანთ ქუჩა, № 3. (3—უ.—1)

## იყიდება

იაფად საგარაკო ადგილები, თითო ნაჭერი 500 საჟენი და მეტი, სოფელ თელოვანში (ტფილისის მაზრა), ტფილისიდან 13 ვერსის მანძილზე საქართველოს სამხედრო გზა-ტკეცილით. საავარაკო ადგილები მაღლობზეა, 3000 ფუტზე, მდიდარი ტყითა და წყაროებით, მშვენიერი ჰავით, სანახაობით და მდებარეობით. იყიდება პატრონთან მორიგებით და ფულის ნაწილ-ნაწილ გადახდით; ვინც ბევრ ნაჭერს იყიდის, იმას ფასი საკმაოდ დაეკლება.

მიმართვა შეიძლება: ტფილისს, ფრეილინის ქუჩა, № 1, სახლი ბაისოლოღოვისა, რუსეთის 1-ლ ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების მთავარ კანტორაში ზაქარია გიორგის ძეს მალალაშვილს. (50—ნ.—35)

იყიდება ყველგან ახალი

## ◀ ჩანგი ▶

წიგნი 502 გვ., ჩართულია 60 მეტი სურათი საზოგადო მოღვაწეებისა. დაბეჭდილია მრავალი ისეთი ლექსები, სცენები, სახუმარო და საოხუნჯო კუპლეტები, რომლებიც ჯერეთ არსად არ დაბეჭდილა. სხვათა შორის მოთავსებულია სამი პიესა: „ადვოკატთან", „ტაინი სოვეტნიკის სიზმარი" და „უბედური დღე". წიგნი მშვენიერის ყდით ღირს 1 მ. 35 კაპ.—უყდო 1 მან. ფოსტით ვინც გამოიწერს, მას გასაგზავნი ფული არ გადახდება. ფულის მაგიერ შეიძლება მარკებიც. წიგნების გამყიდველებს დაეთმობათ პროცენტები.

ადრესი: Тифлисъ, „Сорапанъ" Гачечиладзе. (30—ნ.—25)


## ტფილისი, 10 ოქტომბერი

დღეს იწყება ახალი სესსია მესამე სახ. სათათბიროსი. ახლაც, როგორც წინად, მოწინავე რუსეთი გულგრილად და უიმედობით ეგებება პარლამენტის მუშაობის განახლებას, რადგან არც მომავალ სესსიიდან მოელის იმაზე მეტს, რაც წინანდლებმა მოგვცეს. სათათბიროს ახალ სესსიის სამუშაო ფარგალიც წინადვე ვიწროდ არის შემოხაზული და არც ერთი საჭირ-ბოროტო მთავარი საკითხი, რომლებით უნდა დაწყებულიყო რუსეთის განახლების საქმე, სესსის განმავლობაში განხილულ-გადაწყვეტილი არ იქნება. ყველაფერი თავის ალაგას დარჩება და რეაქციის მძვინვარებას საზღვარი ჯერ არ დაედება. იმათ, ვის ხელშიაც დღეს არის რუსეთის სვე-ბედი, საფუძვლიანად მიივიწყეს ალთქმული დაპირებანი და განზე გადადეს რუსეთის „დიდი ხარტია თავისუფლებისა"—17 ოქტომბრის მანიფესტი: არც სტოლიპინის მთავრობა, არც სათათბიროს უმრავლესობა არ ჰფიქრობენ პოლიტიკურ კურსის გამოცვლას და, პირიქით, უფრო და უფრო უჭერენ მუხრუჭს დატანჯულ ხალხსა და ქვეყანას. არ არის არც ერთი სიმპტომი, რომელიც რაიმე ნუგეშს გვაძლევდეს, რაიმე იმედს გვისახავდეს და მომავალ საპარლამენტო მუშაობისაგან რაიმე სიკეთეს გვიქადიდეს. საწინააღმდეგო სიმპტომები კი რამდენიც გნებავთ.

აიღეთ თუნდ მთავრობის პოლიტიკა განაპირა ქვეყნებში—ეს საუკეთესო ბარომეტრი რუსეთის შინაურ პოლიტიკის მიმართულებისა. მთელი საპარლამენტო ვაკაციების განმავლობაში განუწყვეტელი ბრძოლა არსებობდა ფინლიანდიასთან და პოლონეთთან. ფინლანდიის უმაღლეს დაწესებულებათა მუშაობა შეჩერებულია. სეიმს ერთი ნაბიჯიც ვერ გადაუდგამს წინ ეს ორი წელიწადია (განახლების შემდეგ); სენატი სრულებით აღარ არის. თუმცა ბოლო წელს სენატში ძართო „ძველი ფინების" პარტიის წარმომადგენელნი დარჩნენ,—იმ პარტიისა, რომელიც მზადაა შორს, ძალიან შორს წავიდეს დათმობისა და კომპრომისების გზაზე, მაგრამ ამასაც აევსო მოთმინების ფიალა და ველარ გაუძლო მთავრობის მძვინვარებას, მთავრობის დაუსრულებელ იერიშს ფინლანდიის ავტონომიაზე. ამ ჟამად ისეთი შემოვიწროებელი რეფორმები მზადდება ფინლანდიისათვის, რომ თვით გენ.-გუბერნატორი ბეკმანი ჰკარგავს სულის სიმშვიდესა და მოთმინებას და სამსახურიდან მირბის. აშკარა ლაპარაკია ბობრიკოვის რეჟიმის აღდგენაზე... ასეთივე ამბებია პოლონეთში. აქ პოლიტიკური ავტონომია არ არსებობა, ამიტომ მთავრობის ბრძოლა მიმართულია ეროვნულ კულტურისა და განათლების წინააღმდეგ. საპარლამენტო ვაკაციების განმავლობაში მთავრობამ დახურა რამდენიმე განმანათლებელი საზოგადოება, მათ შორის „კათოლიკური კავშირი", რომლის შესახებ თვით უკიდურესი რეაქციონერი ვარშავის გენ.-გუბერნატორი სწერდა პეტერბურგის მთავრობას: საწინააღმდეგოს „კავშირში" ვერაფერს ვხედავო. ამ უაღრესმა რეკომენდაციამაც ვერ გასჭრა!.. იკეტება წერა-კითხვის საზოგადოება „ოსვიატა" კიევის გუბერნიაში მხოლოდ იმიტომ, რომ პოლონურ წერა-კითხვის სკოლებმა **მომავალში** ხელი არ შეუწყონ რუსების გაპოლონელებასაო!.. აიღეთ კიდევ და წაიკითხეთ გუშინდელ დეპეშით გადმოცემული სიტყვა სტოლიპინისა დასავლეთ გუბერნიებში მომავალ საერობო რეფორმის შესახებ. მთელი გამჭრიახობა სახელმწიფო მოღვაწეებისა იმაზეა მიქცეული, რომ რაც შეიძლება შეამცირონ ადგილობრივ მკვიდრთა (პოლონელთა) უფლებანი და მომავალ ერობაში სრული ბატონობა მიანიჭონ ერთ მუჭა რუსობას. ვის რათ უნდა ამისთანა ერობა, ამისთანა „რეფორმა"?!.

განაპირა ქვეყნებში როცა ამისთანა ამბებია, ეს იმას მოასწავებს, რომ „შინაურობაში" ზურგი გამაგრებული აქვს მთავრობას, ე. ი. თვით რუსეთი, თვით რუსის ხალხი მაგრადა ჰყავს შებორკილი და იმდენადაც არის, რომ ახლო მომავალში სამარისებური სიჩუმე დარღვეული არ იქნება. სადღა ვეძიოთ უკეთესი სიმპტომები და მდგომარეობის შეცვლის ნიშნები? ან იქნება მთავრობას ალაგმვას საპარლამენტო უმრავლესობა იკისრებს? საკმარისია გადავავლოთ თვალი ოქტომბრისტების კრების ნამუშევარს, რომ ყოველი იმედი უკუ ვაგდოთ. პარტიისთვის სრულიად უმნიშვნელოდ ჩაუვლია იმ ისტორიულ გაკვეთილსაც, რომელიც მისმავე ამომრჩეველმა მისცა ბოლო დღეებში; პეტერბურგისა და მოსკოვის პირველმა კურიამაც-კი—კაპიტალისტების კურიამ—დაიწუნა ოქტომბრისტების ტაქტიკა და პოლიტიკა; მაგრამ პარტია,—ის პარტია, რომელიც თავის თავს საკონსტიტუციოდ აღიარებს,—ფეხით სთელავს საზოგადოებრივ აზრს და საქვეყნოდ აცხადებს არჩეულ გზას არ ავსცდებითო. პარტია კვლავ აპირებს მთავრობის მომხრეობას პარლამენტში, კვლავ მის ყურმოჭრილ მონად იქნება...

ასეთ პირობებში იწყება საპარლამენტო სესსია და ამიტომაც ვამბობთ, რომ ტავრიდის სასახლის კარებზე, მომავალ სესსიის განმავლობაში, უნდა დაეწეროს დანტეს ჯოჯოხეთის ცნობილი წარწერა „Lasciate ogni speranha"—უკუაგდეთ აქ ყოველი იმედი. სათათბიროში, შეიძლება, მედგარი ბრძოლაც იქნეს, თავისუფლების და განახლების სიტყვებიც წარმოითქვას, მაგრამ ირგვლივ ცხოვრება უცვლელად დარჩება, სანამ ისტორიული ნემეზიდა სხვა გზითა და სხვა საშუალებით არ შეეცდება „საუკუნეთაგან ნაანდერძევ ბოროტების" მოსპობას. მანამდის-კი რუსეთის პარლამენტი, მაკლაკოვის თქმისა არ იყოს, რაღაც ექსტერიტორიალური დაწესებულება იქნება, სადაც სხვა კანონი მოქმედობს და სხვა ატმოსფერა ჰსუფევს, ვიდრე თვით ქვეყანაში.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

გუშინ მოვიყვანეთ გაზეთ „სურჰანდაკის" აზრი სომეხთა ვაჭრობის საქმეზე. იგივე გაზეთი ეხება სომეხთა პრესსას და გულის წყრომით ჰკიცხავს მას. მკითხველთათვის ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს სომხურ გაზეთის აზრი სომხურ პრესსის შესახებ, ამიტომ მოგვყავს ეს წერილი.

მთელი ნახევარი საუკუნე და უფრო მეტიც გავიდა იმ დღიდან, რაც პირველად რუსეთის სომხობაში პერიოდული პრესა გაჩნდა. ამ დღიდან დაწყებული ჩვენმა პერიოდულმა პრესამ თავს იდვა სომხურ ცხოვრების ხელმძღვანელის როლი, გახდა მისი წინამძღვარი. მაგრამ ჩვენი პრესა დღემდის კიდევ იმასვე ღეჭავს და სცოხნის, რაც თქმულა, რაც ულაპარაკნია, ან უფიქრია ამ ორმოცის, ორმოცდაათის და კიდევ მეტის წლის წინად.

წელთა გამოცდილებამ და კულტურულ ერების პრესის განვითარებამ სრულებით ჭკუა ვერ ასწავლა ჩვენი პრესის ხელმძღვანელთ. როგორც ამ ნახევარი საუკუნის წინად, ისე ახლაც ჩვენი პრესა მარტოოდენ პარტიულ ბრძოლაშია გართული: წინად ეს ბრძოლა ხდებოდა ნაციონალურ ეკლესიის გარშემო, დღეს კი პრესა მოუნდომებულია ვითომდა სოციალისტურ საკითხებზე, ხანდისხან პირად ქების შესხმაზე, ხშირად სამასწავლებლო და სამზრუნველო საკითხზე ან ლანძღვა-გინებით, საპირადო ქვენა ანგარიშებით და დაბალი ზრახვებით აღსავსე წერილებზე რედაქციის მიმართ. და სომხის ღვთის მოშიში მკითხველი საზოგადოება, რომელიც საჭიროებას ჰგრძნობდა პატრიოტულ ან პარტიულ მიზნებით გამოეწერა გაზეთი, საზრდოობდა და დღემდე საზრდოობს ამ საკითხებით.

მაშასადამე, საკვირველი არ არის, რომ ჩვენი საზოგადოება დარჩა დღემდე იმავე დიაკონივით ერთისა და იმავეს მღეჭავი და მხარშველი. საკვირველი არ არის აგრეთვე, რომ ჩვენი პრესა, რომელიც მისდევს თავის ერთხელვე და სამუდამოდ არჩეულ გზას და ვერ დაუღწევია თავი დიაკვნურ წრისთვის, დღეს სულსა ლევს და დღითი-დღე ელის თვის უბადრუკ და ნაზრახ სიცოცხლის აღსასრულს, რადგან მას ნივთიერ დ ხმარებათა და შემოწირულებათა მიუშველებლად აღარ შეუძლიან თავის შენახვა.

მაშინ როდესაც სომხის პრესას თავის არსებობის ნახევარი საუკუნის განმავლობაში ჯერ კიდევ არ წამოუყენებია არავითარი მოთხოვნა სომხის მკვიდრთა შესახებ, დღემდე ჩვენი მეზობელი ქართველები და თათრები დიდებულად იცავენ თავიანთ დაწესებულებებს და ეს ჭეშმარიტად ერთი უდიდესი დანაშაულობათაგანია ჩვენი პრესის ხელმძღვანელთა მხრივ, რადგან ისინი პურის წილ ქვას აძლევდნენ მუდამდღე და თევზის წილ გველს.

რა არის მართლადა, რომ აიღოთ ჩვენი პრესის ნიმუშები? აიღეთ ჩვენი გაზეთები, გადაავლეთ თვალი, მისდიეთ მას დღითი-დღე და რას იპოვით ამ დროის განმავლობაში: ეჩმიაძინის სახელოდ სასწავლებელი, შეყვარებუ-

ლთა «რანდე-ვუ», ტერტერები, მზრუნველი, სასკოლო წიგნების შესახები ხჯაბაახი და დაუსრულებელი წერილები რედაქციის მიმართ პირადობის ნიადაგზე,—აი ესენია, რომ ასულდგმულებენ ჩვენ ხინაშვილებს, ესენია, რომ ალავსებენ ჩვენი პრესის ფურცლებს, პრესისა, რომელიც თავის უკანასკნელ დღეებს დაათრევს. ნუ თუ ეს არის პრესის მნიშვნელობა, გაზეთის თანამშრომელთა, გინა საზოგადოების თვალში? ნუ თუ პირადი ინტერესები უნდა გვაინტერესებდეს ჩვენ იმ დროს, როდესაც დრო განსაცვიფრებელ სისწრაფით მირბის წინ შეუწყვეტლად, როდესაც ცოდნა და ტეხნიკა დღითიდღე ბუნბერაზისებურ საქმეებს იდენს მთელს აზროვნებასა, მთელს მსოფლმხედველობასა და ცხოვრებაში.

სომხურ პრესის მეთაურნი დიახ დამნაშავენი არიან ჩვენი სომხობის წინაშე, რადგან ისინი თვით გაჟღენთილნი პირადი დაბალ აზრებით და ქვენა ანგარიშებით, ამავე ანგარიშებით ასულდგმულებენ ჩვენს საზოგადოებასაც. ჩვენი პრესის ხელმძღვანელთ გარყვნეს და დაამახინჯეს ჩვენი ცხოვრება, გაამრუდეს მისი აზროვნება დიაკვნისებურ მეცნიერებით და სამუდამოდ გაუგებრად დასტოვეს მათთვის დიდი პროგრესების დროის სული და მიმართულება.

## ქუთაისის ადმინისტრაცია და

### ჩვენი საზოგადო საქმეები

ისე ვართ შეჩვეულნი ყოველსავე სიავეს, რომ არაფერი აღარ გვაკვირვებს. მაგრამ ეს მაინც ვერასოდეს ვერ გაგვამართლებს, თუ გულის ამღვრევი ამბავი ზიზღს არ მოგვგვრის და სულის აღმაშფოთარი აღშფოთებას არ გამოწვევს ჩვენში.

კარგად მოგეხსენებათ, რომ არ არსებობს რუსეთის იმპერიაში ისეთი განაპირა ქვეყანა, ისეთი კუთხე, სადაც ადგილობრივი თვითმართველობა უფრო შეზღუდული იყოს, ვიდრე ჩვენს ბედისაგან მოძულებულს ქვეყანაში. არ მოიპოვება რუსეთის იმპერიაში ისეთი კუთხე, რომელშიაც საზოგადოებრივი ინიციატივა ისე ჩამქრალი და თანაც დევნილი იყოს, როგორც ჩვენში. ამაებმა ყველამ თქვენი ქირი წაიღოს, მაგრამ პასსივურის მოქმედების, პასსივურის პროტესტის უნარიც არა გვაქვს. როცა ფეხს გვადგამენ და გვქელეტავენ, „ვაი, მეტკინაო“—ამსაცა-კი ვერ დავიყვირებთ ხოლმე.

უნდა მართალი მოგახსენოთ, ამ შემთხვევაში ეგრედ წოდებული ქუთაისის გუბერნია ანუ იმერეთი ბევრად უფრო ცუდ პირობებშია. თითქო იგი სრულიად მოწყვეტილი იყოსო მთელს ქვეყნიერობას. საკმაოა ვინმე თავაშვებულმა რაინდმა მოინდომოს და მთელი ეს დიდებული და მდიდარი კუთხე იმის სათარეშო ასპარეზად გახდება და ამ თარეშში ანგარიშს არავინ მოსთხოვს. მოგეხსენებათ, რეაქციამ მთელს ჩვენს ქვეყანას ხეირი არ დააყარა, მაგრამ იმ უკიდურესობამდის მაინც არ მისულა, რომ ყოველივე გამოსახულება საზოგადოებრიობისა ჯვარს ეცვა.

ყველგან ასეა, მაგრამ ასე არ არის ქუთაისში. გულდასმით ავწონ-დავწონე ყოველივე და გარდაწყვეტით ვამბობ, რომ ყბად-აღებულს გოლიცინის რეჟიმის დროსაც-კი მგავსი რომ არ მომხდარა. ჯერ იყო და სოხუმის თვით-მმართველობას ეცნენ და სოხუმის ქალაქის თავი თ. თავდგირიძე სამსახურიდან გადააყენეს. ვერავითარი გამჭრიახი ისტორიკოსი ვერასოდეს ვერ მიხვდება, თუ რად გახდა თ. თავდგირიძე „რეაქციის“ მსხვერპლად. თავდგირიძე თვით გატაცების თავბრუ-დამხვევი წუთების დროსაც-კი იმდენად ზომიერადა და თავდაჭერილად იქცეოდა, რომ ყველა თავის საზოგადოებრივ მეგობრებს ნაღვლით უვსებდა გულს. ასეთის კაცის განდევნა არავითარ პოლიტიკურ მოსაზრებით არ აიხსნება, აქ გაბმული იყო ჩუმი, ადმინისტრაციის კულისებში მოთავსებულ ინტრიგების ქსელი, რომლის ქსოვა მეტად მძიმე და არა სასიამოვნო საქმეა. მერე როგორ შეხვდნენ ამას საზოგადოება და თვით - მმართველობის წარმომადგენელნი და მისი ინტერესების დამცველნი? ნაფიცი ვექილი კვირკველია, რომელიც ქალაქის მიერ არჩეულია საკრებულოს წევრად, არც-კი წაბრძანდა სხდომაზე და ჯერ ის მოიმიზეზა, რომ თ. თავდგირიძესთან წაკიდებული ვარო, ხოლო როცა საქმე ისე მოეწყო, რომ თავდგირიძის დევნა მისის დატუსაღებით უნდა დამთავრებულიყო, განაცხადა, იმიტომ არ წაველი, რომ წინდაწინ ვიყავ დარწმუნებული თ. თავდგირიძის დანაშაულობაშიო. ეს გახლავთ ვექილი, **ნაფიცი** ვექილი და ქალაქის თვით-მმართველობის ინტერესების დამცველი... ვერც ქალაქის თავი თ. ლორთქიფანიძე მოიქცა კარგად. მართალია, თვით სხდომაზე თავგამოდებით იცავდა პრინციპს თვითმმართველობისას (თ. თავდგირიძეზე ხომ არ არის მართლა აქ საქმე), მაგრამ თავისი კერძო აზრი ქაღალდზე ვერ დაიწერა და ვერ გაბედა იგი კერძო აზრი ნამესტნიკისთვის წარედგინა. ესეც სამწუხარო მაგალითია.

სოხუმის თვითმართველობიდან ეცნენ ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა კრების საბჭოს. ეს დაწესებულება ფრიად დიდმნიშვნელოვანია მთელ გუბერნიისთვის. დიდმნიშვნელოვანია მით უფრო, რომ თავის არსების ათი წლის განმავლობაში იგი სცდილობდა შეევსო ყოველივე ნაკლი, რომელიც მოსდევდა ჩვენში საერობო თვითმმართველობის უქონლობას, იგი ასრულებდა საერობო დაწესებულებათა მოვალეობას, რომელიც არაფრით არ ეწინააღმდეგებოდა სამრეწველო თვითმართველობის საგანს (ხალხის ჯანმრთელობას, სწავლა-განათლებას, გზებსა და ხიდებს და სხვა). განთქმულ გოლიცინის რეჟიმის დროსაც-კი ეს მრეწველთა კრებული და მისი საბჭო არავითარ დევნას არ იწვევდა და არც არავინ არ უცქეროდა ეჭვის თვალით. ხედავდნენ, რომ ადგილობრივ ინტერესებისთვის ფრიად სანაქებო და საინტერესო დაწესებულებაა. ის კი არა, ქუთაისის გუბერნატორები დიდის ქებითაც-კი იხსენიებდნენ იმის მოღვაწეობას ხალხის ჯანმრთელობისა, გზებისა, ხიდებისა და სხვა ამგვარ საქმეების მოწყობაში. ეხლა-კი, სხვა რომ ვერაფერი მოახერხეს, „რევოლიუციონერობა“ დასწამეს საბჭოს და გამოიწვიეს არა ჩვეულებრივი რევიზია. რევიზიამ იმაზე მეტი ვერაფერი ნახა, რომ საბჭო საერობო დაწესებულებათა როლს ასრულებდაო და ამის დამამტკიცებლად საბჭოს წევრების სიტყვებიც კი მოიყვანეს, ე. ი. ის აზრი გამოიყვანეს, რომ საერობო დაწესებულებათა მოვალეობის აღსრულება „რევოლიუციის სამსახურია“-ო. ასეთ კაცებს აქვთ მინდობილი ჩვენში ერობის დაწესებულებათა შემოღება!

რაკი ამ საქმეში ალჩუ არ დაუჯდათ, შუამდგომლობა აღძრეს სამინისტროს წინაშე — დაამალეთ საბჭოს მოიწვიოს მრეწველთა კრებაო. შავი ქვის მრეწველობაში არა ჩვეულებრივ კრიზისის გამო მონაწილეობას მიიღებს რამდენიმე კაცი, „ნამდვილი მრეწველი“ და მრეწველობის საქმე გაუმჯობესდებაო, მერე, იცით ვინ არიან ეს „ნამდვილნი მრეწველნი“? ესენი გახლავთ უცხოელ კაპიტალისტთა „პრიკაშჩიკები“, „პრიკაჩიკები“ არა მარტო მდგომარეობით, არამედ სულითა და გონებით, ცოდნითა და გამოცდილებითაც. აი სად არის ჭკუისა და გონების აბნევა და დაფანტვა! ვთქვათ და დავეთანხმოთ ერთ წუთს „ჭეშმარიტ რუსებს“, რომ რუსეთის იმპერიაში რუსს, ე. ი. ველიკორუსს, უპირატესობა უნდა ჰქონდეს სხვა ერის წარმომადგენელთან შედარებით. მაგრამ ნუ თუ რუსეთის იმპერიაში უპირატესობა უნდა მიეცეს უცხოელსაც, უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომს და არა რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომს? ნუ თუ ქართველი, ადგილობრივი მკვიდრი უნდა დევნილ იქმნას არა მარტო იმიტომ, რომ ღმერთმა მას რუსობა ააშორა, არამედ იმიტომაც, რომ იგი რუსეთის ქვეშევრდომია? ჭიათურაში არის ორი-სამი ფირმა საზღვარ-გარეთელ კაპიტალისტებისა, რომელნიც ქვას ეზიდებიან და ჰყიდიან. ისინი კომისსიონერების როლს ასრულებენ, ვინაიდან ადგილობრივ მრეწველის საქონელს ყიდულობენ და მერე შავი-ქვის მომხმარებელ ფირმებს აბარებენ საქონელს. ასეთი საკომისსიონერო ფირმა არც კი არის ხოლმე ჭიათურაში, მასა ჰყავს წარმომადგენელი, რომელსაც არავითარი ინტერესი არ აკავშირებს არც ჩვენ ქვეყანასთან, არც რუსეთის იმპერიასთან. პირიქით მას რუსეთის იმპერიის მცხოვრებნი გასაკრეჭ ცხვრებად მიაჩნიათ, რომლის ტყავის გაძრობაში ურცხვად ხელს უწყობენ რუსეთის ბედ-იღბლის გამგენი და მათი ადგილობრივი წარმომადგენელნი.

მაგრამ უსამართლობასაც ხომ საზღვარი აქვს. საბჭოს „რევოლიუციის“ საბუთები ვერავინ მოიყვანა; იძულებით კრების მოწვევა სამინისტრომ არ იკისრა და ნება დართო მხოლოდ ისეთის კრების მოწვევისა, რომელზედაც ვერავითარს ისეთს გარდაწყვეტილებას ვერ მიიღებენ, რასაც შეეძლოს შესცვალოს სახე და ხასიათი ამ ჩინებულ დაწესებულებისა.

**იმერელი ამომრჩეველი.**

(დასასრული იქნება)

## შთაბეჭდილებანი

(საერობო თათბირი)

ორ უკანასკნელ სხდომაზე ორი მთავარი საკითხი განიხილეს. რაკი კრებამ საჭიროდ სცნო ერობის შემოღება ამიერ კავკასიაში, შემდეგ სხდომებზე უნდა გამორკვეულიყო, თუ რა ტიპისა უნდა ყოფილიყოს ეს ერობა. მიღებულ უნდა იქმნას მე-90 წლის ერობა იმ ცვლილებით, რომელსაც ადგილობრივი პირობები მოითხოვენ. ასეთი იყო რეზოლიუცია წინა სხდომისა. მეორე სხდომაზე უნდა განეხილათ ის, თუ ერობა რამდენ საფეხურიანი უნდა ყოფილიყო.

ბ-ნმა გ. გვაზავამ მოხსენება წაიკითხა. მკითხველმა უკვე იცის რა მოსაზრებით გაილაშქრა მომხსენებელმა საოლქო ერობის წინააღმდეგ. მან დაიწყო იმისი მტკიცება, რომ არ არსებობს არაფერი საერთო ამიერ კავკასიის გუბერნიებს შორისო. გზებიც კი ყველა საგუბერნიო ცენტრიდან სხივების მსგავსად გუბერნიის ნაწილებისაკენ მოდის. საგუბერნიო ერობას ფრთები შეეკვეცება—ზოგიერთი მისი საქმე საოლქო ერობას გადაეცემაო. ამიერ-კავკასიაში კულტურა ყველგან ერთი და იმავე დონეზე არის. უფრო მაღალ კულტურის ხალხისთვის ეს შეკავშირება გამოსადეგი არ იქნებაო.

აი მთავარი მოსაზრებანი ბ-ნ გვაზავასი.

ამ აზრით არის წინააღმდეგი საოლქო ერობისა ბ-ნი გვაზავა. ვერავითარი სხვა საბუთი ვერ წამოაყენა მან. ტფილისის გუბერნია ისე გაცალკევებულად აქვს წარმოდგენილი, თითქოს ეს გუბერნია სადმე უსაზღვრო სივრცეში იყოს და მის გარეშე ადამიანები არა სცხოვრობდნენ. ვერც ის არის საბუთი, რომ უფრო კულტუროსანი მცხოვრებნი ვერ შეუკავშირდებიან უკულტუროებსო, პირველნი იზარალებენო. ეს არგუმენტი გვაზავას ძლიერ არგუმენტად მიაჩნია. 1906 წელს საქართველოს ავტონომიაზე კამათის დროს იურიდიულ საზოგადოებაში ამავე არგუმენტის ძალით თხოულობდა მხოლოდ საქართველოს ავტონომიას. გვაზავას პასუხი გასცა ალ. ხატისოვმა. ალ. მდივანმაც სამართლიანად შენიშნა—პრინციპიალურად შეუძლებელია ამიერ-კავკასიის ერობის წინააღმდეგნი ვიყვნეთო.

ეს იყო მეორე სხდომაზე, რომელმაც, როგორც მკითხველებმა იციან, ხატისოვის წინადადება მიიღეს. ამ რეზოლიუციას კიდეც წაიკითხავდით ჩვენს გაზეთში.

შემდეგ სხდომებზე მშვენიერი მოხსენებანი წაიკითხეს წვრილ საერობო ერთეულზე ალ. [illegible] არღუთინსკიმ და მდივანმა. მაგრამ გვაზავამ აქაც თავისებურება გამოიჩინა, აქაც წარდგა და დაიწყო მცირე საერობო ერთეულის უარყოფა სამაზრო ერობის სასარგებლოდ. აქ გვაზავას ბევრი მომხრე აღმოუჩნდა: გულისაშვილი, ლ. ჯანდიერი, ა. ჯორჯაძე, ჩოლოყაშვილი, მ. გედევანიშვილი და სხვანი. გულისაშვილმა ერთ საბუთად ისიც წამოაყენა, რომ მცირე საერობო ერთეულს არ ეყოლება მომზადებული ხალხი, რომელიც ერობას გაუძღვებაო.

ლ. ჯანდიერმა ხომ სულ გაანადგურა გლეხობა, მოძრაობაც კი არ დაივიწყა ყოფილმა ადმინისტრატორმა, და რასაკვირველია, სოფლის მხსნელად და პატრონად პოლიცია ჩასთვალა. თუ -რა ის, შენი მტერი გლეხები ერთმანეთს დასჭამდნენ, ისე ილაპარაკა, ისეთი მაგალითები მოიყვანა, რომ გარეშე მაყურებელი მოიხიბლებოდა. გლეხებს არა აქვთ შეგნება—რაა მათთვის სასარგებლო და რაა საზარალოო. ყოველთვის ორიოდე მყვირალა და ჩასუქებული ბატონობს მთელს სოფელს. მოძრაობის დროსაც ორიოდე კაცი აღელვებდა ხალხს. ერთი რომ ავიწყდება თავ. ლ. ჯანდიერს: რა თვითმოქმედება და ინიციატივა უნდა გამოიჩინოს გლეხობამ, როდესაც ყველა სოფლის საქმეს მათრახი დასტრიალებს?! შინაურ, ოჯახურ საქმეებშიაც კი ეს ულმობელი იარაღი ბატონობს და შიშის ზარსა სცემს ყველას. აბა პატარა ხანს ჩამოეცალეთ და დაინახავთ ერთმანეთს დასჭამენ თუ მოუვლიან თავიანთ საქმეებს.

თავ. ჯანდიერმა ერთი მაგალითი მოიყვანა სასოფლო-სამეურნეო კრედიტზე. სოფელ პატარძეულში (გარედ-კახეთი) სასოფლო ბეღელი იყო. სასოფლო თანხის შესადგენად ხორბალი გროვდებოდა. ნაწილსა ჰყოფდნენ, ნაწილი ამ ბეღელში რჩებოდა. რამდენიმე ხნის შემდეგ გავიარე ამ სოფელში, შევხედე ბეღელში

---

## ნიკოლოზ ბარათაშვილი

ერთ-მოქმედებიანი დრამატიული ფანტაზია ლექსად.

(დასასრული *)

**ი რ ა კ ლ ი**

„შენ იცნობ კარგად, სოლომონ, ჩემს გულს;
შენ უწყი ქართლის აწ ვითარება,
ღისი აწ ძალა, ყოფა, ცხოვრება;
ბევრჯერ რჩევანი შენნი, ვითა წყლულს,
მსალმუნებიან მე შეწუხებულს;
აწც ჩემს სულის ტვირთს, ჩემს გულის წადილს,
შენ გაგიმჟღავნებ, ვით საყვარელს შვილს!“

(მცირე დუმილს შემდეგ)

„არ მითვისებდა ქართველთა გული,
რომ ვიყავ მათი მეფე ეული;
ჩემი მეფობა ზედ დავასრულე,
რომ ძლივს იგინი გავიერთგულე,
და ახლა, ოდეს ჩემს ხელმწიფობას,
განვუმზადებდი ჟამ-კეთილობას,
აი მის ნაცვლად მე რა მომაპყრეს
ჩემმა შვილებმა და ვინ ახარეს!...“

(მცირე დუმილს შემდეგ)

„ამიერითგან გაქეზებული,
მაჰმად-ხანისა მოსისხლე გული
არ დაგვაწყნარებს სიამაყითა:
მას ჟამი შესწევს ყოვლის ღონითა;
ეს ხმა ლეკთაცა აგვიყაყანებს;
ოსმალი მხოლოდ დროსა უყურებს,
და მტერნი ძლიერ მაშინ მოგვატყდნენ,
როს ყმანი ჩემნი ერთმანერთს ჰკლავენ;
მე თუმც კიდევ ვგრძნობ სულის სიმტკიცეს,
გარნა ღონენი წელთ წარმიტაცეს;
შენი ირაკლი ის აღარა ვარ,
პატარა კახად რომ გინახვივარ!
აბა, რომელს შვილს ჰხედავს ღირსეულს,
რომ ექმნას კვერთხად მამულს დარღვეულს?..
ღმერთო, ამაზედ მეტსა სატანჯველს
ნულა მოუვლენ საწყალთა ქართველთ!..“

(მცირე დუმილს შემდეგ)

„აბა, რას მირჩევ, ჩემო მსაჯულო?
კარგად იფიქრე, შვილო ერთგულო:
აწ განთქმულია რუსთა სახელი,
ხელმწიფე უვისთ ბრძენი და ქველი;
დიდი ხანია გვაქვს ჩვენ ერთობა,
მტკიცე კავშირი,—სარწმუნოება;—
მას მინდა, მივცე მემკვიდრეობა
და მან მოსცეს ქართლს კეთილ-დღეობა!“

**მსაჯული** („ამის გაგონი უჭვრეტდა მეფეს, გახცვიფრებული: მას არ სჯეროდა, რომ ირაკლის გულს ჰხედვიდა იგი ესთ შეცვალებულს და ჰკადრა:“)

„რასა მიბრძანებ“, გულის გამგმირველს,
„ბატონო, ღმერთი გადღეგრძელებდეს,
ნუ გააგონებ მაგ ხმას ქართველთა,
ესდენ შენზედა მსასოებელთა!
ჯერ სამაგისო რა გვემართება,
რომ განვისყიდოთ თავისუფლება!“

(მცირე დუმილს შემდეგ)

„იცი, მეფეო, რომე ივერნი
იქმნებიან რუსთ ხელთ ბედნიერნი?
სახელმწიფოსა სჯულის ერთობა
არა რას არგებს, ოდეს თვისება
ერთა მის შორის სხვა და სხვაობდეს;
ვინ იცის, მაშინ როგორ მოუხდეს
რუსეთის ძალი ქართლს აწინდელი;
ვით შეითვისოს რუსმა ქართველი,
ვით შეიწყნაროს რუსთ მეფობამა,
რაც მოისურვოს ქართველობამა?
მაშინ, მეფეო, რავდენთ კაცთ მართალთ
მოუკლან გულნი ტანჯვათ-იდუმალთ!
მაშინ ირაკლის სახსენებელი,
ვინღა ახსენოს აწ საქებელი?
ნუ, ხელმწიფეო, მას ნუ ინებებ,
შენგან-კი მაგას ნუ გაგვაგონებ,
და მერმე ქართლი ვინც ვერ განაგოს,
მაშინ მან უწყის, რაც მოაგვაროს;
ხოლო ირაკლი ვიდრე ჰყავთ ქართველთ,
უბედურებაც ბედნიერ აქვნდეთ!..“

**ი რ ა კ ლ ი.**

„ჩემო სოლომონ“, რასც ამბობ შენა,
„მე ეგ ყოველივ არ ვიცი განა?
მაგრამ კეთილთა დღეთათვის ქართლის
რა მოვაგვარო უმჯობეს ამის?
მე არა ვფიქრობ, ვითარცა მეფე,
თვის დიდებისთვის სისხლთა ამჩქეფე;
არამედ, ვითა მამა კეთილი,
რომელსაც სურს, რომ თავისი შვილი
თვისს სიცოცხლეშივ დაასახლკაროს.
ძნელ არს ცხოვრება სამეფოსი, როს
უჭვრეტდეს იგი ომსა დღე დღითი!
აი, ხომ ნახე აწ მაგალითი:
რა ჰქმნა იმ ერთმა დამარცხებამან!
კარგი, რომ კიდევ ალა-მაჰმად-ხან
ქალაქს დასჯერდა გამძვინებული,
სხვით არ ეღირსო მან საწყაული!“

(მცირე დუმილს შემდეგ)

„ახლა კი დროა, სოლომონ, რომა
მშვიდობა ჰპნახოს საქართველომა.
მან საფარს ქვეშე მხოლოდ რუსეთის
იმოიყაროს ჯავრი სპარსეთის
და მხოლოდ მაშინ უეჭვოდ გვრწამდეს,
რომ ქრისტეანთ ხმა მარად ისმოდეს
საფლავზედ ჩვენთა მამა-პაპათა,
და განისვენონ აჩრდილთა მათთა!..“

**მსაჯული** („ვეღარ გაუძლო მსაჯულსა გულმან და ჰკადრა მეფეს აღშფოთებულმან“)

განზრახვა შენი, მეფევ, მაკვირვებს!
ირაკლიმ იცის, რომე ქართველებს
არად მიაჩნით უბედურება,
თუ აქვთ თვისთ ჭერთ-ქვეშ თავისუფლება!“

**ი რ ა კ ლ ი**

„სულ მართალია, ჩემო სოლომონ,
მაგრამ აბა სთქვი, ქართველთა რა ჰყონ
ამ უბედობის და დარღვევის დროს?
აბა ირაკლიმ რა მოაგვაროს
მშვიდობისათვის საყვარელ ყმათა?..
აი, მივიღებ მე შენთ რჩევათა
და დავიდუმებ ჩემსა გულის თქმას;
ნუ დაივიწყებ მაგრამ ჩემს სიტყვას,
რომ დღეს იქმნება, თუ ხვალ იქნება
ქართლსა დაიცავს რუსთ ხელმწიფება!“..

(„ამ დროს აღმოჰხდა ბადრი მთოვარე და სიამითა მოჰფინა არე, ცამ მოჭედილმა ვარსკვლავებითა, მთისა ჰაერმა, სავსემ შვებითა, და მთვარის შუქზე არაგვის წყალთა, თავისუფლებით ჩამომჩხრიალთა, გულს აუშალეს დარდები ბატონს, ოხვრა დამართეს, ვით კაცსა ლიტონს“).

ოჰ, სანატრელო „დროვ ყმაწვილობის,
განტარებულო ჩემთა კახთ შორის,
როს ჯერ არ მედო ტვირთი მეფობის,
როს მქონდა ჟამი უზრუნველობის
და საყვარელი კახეთის გმირი,
ვიყავ ნიადაგ მტერთა გამგმირი!“..

(„დიდხანს დაჰყუჩდა ბატონი ჩუმად, დაფიქრებული მწუხარედ და დრმად, შემდეგ უბრძანა სოლომონ მსაჯულს“)

„ახლა კი დროა ჩვენს გაოხრებულს
ქალაქს ჩავხედოთ; მაგრამ ჯერ ერთი
მინდა, ვიხილო კიდევ კახეთი,
შევიტყო კახთა საჭიროება,
ვსცნა აზრთა მათთა აწ ვითარება;
შენ კი აქედან ქალაქში ჩადი
და დამახვედრე ჩემი სამზადი“!

(ნელის ნაბიჯით გადის).

**მსაჯული** („მეფის აზრთაგან სულით დღელვილი“).

მადლობა, ღმერთო, შენსა განგებას!
ერთს კაცს მოჰმადლებ ყოვლთა უფლებას
და მისს ერთს სიტყვას მონებენ ერნი,
განურჩევლად სულელნი, ბრძენნი,
და იგი მათს ბედს ისე განაგებს,
ვითა ამღერდეს იგი კამათლებს!
მაგრამ შენ, მეფევ, ვინ მოგცა ნება —
სხვას განუბოძო შენთ ყმათ ცხოვრება,
მისდევდე შენსა გულის კვეთებას
და უთრგუნვიდე თავისუფლებას?
შენ ერმან მოგცა პირველ ღირსება,
რათა დაუცვა ყოფა-ცხოვრება,
და რად ივიწყებ, რომე მარადის
ერსა ეკუთვნის გულის თქმა მეფის“!..

(მცირე დუმილს შემდეგ).

„იქნება, მეფე ციხის გატეხას
აბრალებს მოყმეთ მუხანათობას?
იქნება, ამან აჰყარა გული
ბატონს ქართლზედა, შეუორგული?..
მაგრამ ირაკლიმ უკეთეს უწყის,
თუ ვით საყვარელ არს ქართველთ შორის.
მაშ, რამ უცვალა მას გული მყარი,
ქართველებისთვის, ესთ თანამკვდარი?..
მაგრამ ვინ იცის! იგი იქნება,
უკეთ ჰფიქრობდეს, რაც გვეჭირება:
ბევრჯელ ღვთიურსა ზრუნვასა მეფის
გონება ყმათა ვერა მიხვდების“!..

(რამდენსამე ხანს შემდეგ შემოდის სოფიო).

**სოფიო** („რა დაინახა მან თვისი ქმარი, სახე შეცვლილი, მონაწყენარი“).

რა ამბავია? რა გემართება?
მეფე ხომ ავად არა ბრძანდება?

**მ ს ა ჯ უ ლ ი.**

„ვეჰვობ, სოფიო, რომე ირაკლი
ქართველებზედა იყოს გულნაკლი;
მას ზედ ეტყობა, რომე მისი სული
ძლიერად არის აღელვებული,
მწარედ უპირებს ბატონი დასჯას
თავის შვილების ამა ურჩებას;
ვეჰვობ, რომ იგი სამეფოს ქართლის
აძლევს საფარს ქვეშ რუსთა ხელმწიფის.
მაშინ უყურე ჩვენს დედა-კაცებს,

---

*) იხ. „დროება“ N 223.

და ვნახე, რომ ხორბალი სულ გაფუჭებულიყო. ავდექი და გადავყარე. აი, ასეთები არიან გლეხები, თავიანთ ქონებასაც ვერ უვლიან და ამა მცირე საერობო ერთეულის საქმეებს როგორ გაუძღვებიანო. მაგრამ თავ. ჯანდიერს რა უბრალოდ მოუჭრა სიტყვა კაჭრეთელმა გლეხმა სოლოღაშვილმა. ამან უთხრა, გლეხები თავისად არა სთვლიდნენ ამ ხორბალს; ჩვენის ვიცოდით, ხორბალი მიგვქონდათ, გვართმევდნენ და კი არ ვიცოდით, რასა ხმარდებოდა ფული. აბა ჩვენი ამორჩეული კაცები ყოფილიყვნენ საქმის სათავეში, დაინახავდით, ხორბალს მოუვლიდით თუ არაო.

ალ. ჯორჯაძემაც მოიყვანა „ფაქტები“. იგიც გლეხების უინიციატივობას ამტკიცებდა. ჩოლაყაშვილმაც დაუჭირა მხარი გვაზავას. ამათ ნალაპარაკევს დეპუტატთა საკრებულოს ლაბორატორიის დაღი ატყვია. თავად-აზნაურული სუნი უდის. იციან, რომ ცენზის დაცვა, მიწათმფლობელთა წარმომადგენლობა სამაზრო ერობაში უფრო უზრუნველყოფილი იქნება, ვიდრე მცირე ერთეულში და ამიტომ თავგამოდებით იცავენ.

გვაზავა დარწმუნებულია ალბად, რომ ეროვნულ საქმეს აკეთებს. ჰგონია, მსხვილი მემამულენი იხსნიან ჩვენს ერს, ფიქრობს, ზევიდან დაწყებული შენობა მკვიდრი იქნება და ეროვნულ ინტერესებს კარგს სამსახურს გაუწევსო. გვაზავა რომ ჩვენს ცხოვრებას კარგად იცნობდეს, ეცოდინებოდა მაინც, ხომ ეროვნული ინტერესები სულ სხვას მოითხოვენ. ჩვენი ერის წარმატება უზრუნველყოფილი იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ხალხი თავის თავის მართველი იქნება. ჩვენი ხალხის განვითარებისა და აღორძინების საძირკველი ჩაიყრება მაშინ, როდესაც თვით ხალხი ორგანიზაციას შეადგენს თავის საქმეების საწარმოებლად. აქ არც კი ვეხებით სამართლიანობასა და ჰუმანიზმს, რომელიც ყველა დაწესებულებაში დემოკრატიზმის განმტკიცებას მოითხოვს. საქალაქო თვით-მმართველობა იქნება, საერობო თუ სასოფლო, სულ ერთია, ყველგან ხალხს თავისუფალი გზა უნდა ჰქონდეს. ეს უნდა იცოდნენ იმათ, ვინც სოციალისტობას ჰთაკილობს და თავის თავს წმინდა წყლის დემოკრატად—სთვლის.

ვერავითარი საბუთია ისიც, რომ მცირე ერთეულს ხალხი არ ეყოლებაო, მომზადებული ხალხი საქმეების საწარმოებლად. ჯერ ეხლაც იბადება სოფლად ინტელიგენცია. შეგნება შედის. დღეს თუ ისინი ვერ იღებენ საზოგადო საქმეებში მონაწილეობას, ამისი მიზეზი პოლიტიკური პირობებია: ყველას ეჭვით უცქერიან, ყველას მავნე პირებად ნათლავენ. ერობის დროს ამ პირთ საშუალება მიეცემათ ჩაერივნენ საერობო საქმეებში. ესეც რომ არ იყოს, განა ერობას იმიტომაც არა ვთხოულობთ, რომ მოწინავე ინტელიგენცია, რომელსაც სოფლად საქმე არა აქვს და ქალაქში გარბის, დაუბრუნდეს სოფელს და ხალხთან მჭიდრო კავშირი დაიჭიროს? განა ერობას არ დასჭირდებიან აგრონომები, ექიმები, მებაღეები, მეღვინეები და სხვანი? ესენი სოფლად იქნებიან, ხალხთან იქნებიან და საქმესაც გაუძღვებიან. ორი-სამი წლის შემდეგ ისეთი კადრი გაჩნდება, რომ მგონი ბ-ნ გულისაშვილს კიდეც შერცხვეს, როგორ ვცდებოდი, როდესაც მცირე ერთეულს უარ-ვყოფდი მომზადებულ პირთა უყონლობათაო.

ეს მესამე სხდომა საინტერესო იყო მით უფრო, რომ გლეხებმა პირველად ამოიღეს ხმა და თავიანთი სურვილი გამოსთქვეს. ზოგს რუსული ლაპარაკი ძალიან უძნელდებოდა, შეეცოდებოდა კაცს. მაგრამ მაინც ყველამ გარკვევით და ერთხმად მოითხოვა მცირე ერთეული. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ავჭალის წარმომადგენელმა მოითხოვა— მოგვეცით საშუალება ჩვენს ენაზე ვილაპარაკოთ და ნალაპარაკევი ვინმემ გადათარგმნოსო. მაგრამ განცხადება მხედველობაში არ იქმნა მიღებული.

კრებას საბოლოოდ არ გამოუთქვამს თავისი აზრი მცირე ერთეულზე. მომხსენებლები, არგუთინსკი და მდივანი, პასუხს გასცემენ ოპონენტებს. ვნახოთ რომელი მიმართულება გაიმარჯვებს. ს.—

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)
8 ოქტომბერი

## სპარსეთი

**თავრიზი.** თავრიზიდან წავიდა რუსის ჯარის უფროსი, გენერალი სნარსკი. სნარსკის მოვალეობის აღსრულებას პოლკოვნიკი ჩაპლინი შეუდგა.

## ოსმალეთი

**სტამბოლი.** რადგან გამოიცა კანონი ჩინების მიღების საქმეში ნორმალურ წესების აღდგენის შესახებ, ამიტომ მაიორებს ენვერ-ბეის და ნიაზი-ბეის თითო ჩინი ჩამოართვეს.

**სტამბოლი.** შინაგან საქმეთა სამინისტროს იემენიდან ოფიციალურად ატყობინებენ: მახდმა მორჩილება განაცხადა. მახდი გაანთავისუფლეს. ოსმალეთის მთავრობამ მძევლებად მახდის ორი შვილი აიყვანა.

## საზღვარ-გარედ.

**პარიზი.** თავის ჰაეროპლანით გაფრინდა გრაფი დელამბერი. დელამბერთან ერთად ჰაეროპლანში იჯდა ერთი რუსი. რუსმა იყიდა დელამბერის ჰაეროპლანი.

**ტოლედო** (ოგაიოს შტატი) კუკმა სთქვა, კოპენჰაგენის უნივერსიტეტს ამ ერთი-ორი თვის განმავლობაში საბუთებს წარვუდგენ, რომ ჩრდილოეთის პოლიუსს მივაღწიეო.

**ვაშინგტონი.** პირმა ნაციონალურ საგეოგრაფიო საზოგადოებას გადასცა სხვა და სხვა საბუთები, საიდანაც, პირის აზრით, სჩანს, რომ მას ჩრდილოეთის პოლიუსისთვის მიუღწევია. საგეოგრაფიო საზოგადოებამ აირჩია კომისია, რომელიც შეისწავლის ამ საბუთებს.

**ბელგრადი.** გადადგა ნოვაკოვიჩის სამინისტრო.

**მადრიდი.** გადადგა მაურას სამინისტრო.

**მიუნხენი.** ღამე ბუგერშტრასსეს ერთ სახლთან ყუმბარა აფეთქდა. დამტვრეულია სახლის ფანჯრები. დამნაშავე ვერ დაიჭირეს.

**მიუნხენი.** დილით სასამართლოს სადგომის წინ იპოვეს სამი პაკეტი. პაკეტში უცნობებს ასაფეთქებელი ნივთიერებანი ჩაეწყოთ. პაკეტებს ფითილები ჰქონდათ გაკეთებული.

**მადრიდი.** მინისტრ-პრეზიდენტმა მაურამ მეფეს გადასცა, სამინისტრო იმიტომ გადის სამსახურიდან, რომ ლიბერალებმა კატეგორიულად განაცხადეს, ყოველივე ღონეს ვიხმართ, რომ ეხლანდელი სამინისტრო დავამხოთო.

## რუსეთი

**ლოძი.** როზენბლატის ქარხანაში პოლიციამ აღმოაჩინა 10 მაუზერის და 15 ბრაუნინგის რევოლვერი. ეს იარაღი პოლონურ სოციალისტურ პარტიისა ყოფილა. დააპატიმრეს იარაღის შემნახავი.

**პეტერბურგი.** უნივერსიტეტმა სახელმწიფო საბჭოს წევრებად აირჩიეს კოვალევსკი და ოზეროვი.

**პეტერბურგი.** მთავარმა სამხედრო სასამართლომ განიხილა ფროლოვის და ჩეკურნიკოვის საკასაციო საჩივარი. ბრალდებოდათ საერობო უფროსის კულომზინის დასჯა, რისთვისაც სამხედრო სასამართლომ ორთავეს ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა. მთავარმა სამხედრო სასამართლომ გააუქმა სამხედრო სასამართლოს განაჩენი და საქმე ხელმეორედ გასარჩევად გადასცა.

სენატმა განიხილა მირგუნოვების ქარხნის დირექტორის იუმაშევის და ოთხი კაცის საქმე. ამათ ჰბრალდებათ სადგურ სისოვოს გაფიცვის კომიტეტის წევრობა, რისთვისაც სამოსამართლო პალატამ ბრალდებულებს სხვა და სხვა ვადით ციხე გადაუწყვიტა. სენატმა გააუქმა. სასამართლო პალატის განაჩენი და საქმე ხელმეორედ გასარჩევად გადასცა.

**მინსკი.** გუშინ, 8 ოქტომბერს, ერთ სახლში ყუმბარა აფეთქდა. ცეცხლი გაუჩნდა სახლს. სახლი სულ ერთიანად გადაიწვა. სახლის ნანგრევებს ქვეშ მოჰყვა პატარა ქალი და 1 წლის ბავშვი. ნანგრევებიდან ამოიღეს ქალიშვილის გვამი, ერთი წლის ბავშვის მამა კი ვეღარ იპოვეს. ამას გარდა დაშავდა 6 კაცი.

**პეტერბურგი.** გამოაქვეყნეს უმაღლესი მანიფესტი ფინლიანდიის სენატისადმი. მანიფესტში ნათქვამია, რუსეთის სახელმწიფოს და ტახტის დაცვა ყველა ქვეშევრდომთა მოვალეობაა, ამიტომ ფინლიანდიელმაც თავის წვლილი უნდა შეიტანონ ამ საქმეში, რისთვისაც ვავალებთ ფინლიანდიის სენატს მოახდინოს განკარგულება, რომ სახელმწიფო ხაზინაში შეტანილ იქმნეს 1908—9 წლების წვლილი, 20 მილიონი მარკა. ამას გარდა მანიფესტში ნათქვამია, ფინლიანდიის ფულს მიტომ ვახდევინებთ, რომ ჯერ-ჯერობით საჭიროდ ვერ დავინახეთ ფინლიანდელები, როგორც სხვები, ჯარში გავიყვანოთო.

**გელსინგფორსი.** სენატის სამეურნეო დეპარტამენტმა მოისმინა უმაღლესი მანიფესტი, სამხედრო საჭიროებისთვის 20 მილიონ მარკის გადახდის შესახებ. დეპარტამენტმა დაადგინა; უბრძანოს სტატს-კანტორას, რომ სახელმწიფო ხაზინაში ამ წლის ბოლომდის შეიტანოს 20 მილიონი მარკა.

**კიევი.** ადმინისტრაციამ, სენატის დადგენილებისამებრ, დახურა პოლონური საზოგადოება „ოსვიატა“ და საზოგადოების განყოფილებები. სენატის აზრით „ოსვიატას“ მიზანი ეწინააღმდეგება მთავრობის იმ პოლიტიკას, რომელსაც მთავრობა დასავლეთ გუბერნიებში აწარმოებს.

**სევასტოპოლი.** სამხედრო სასამართლომ განიხილა სოციალისტ-რევოლიუციონერების კომიტეტის საქმე. სამართალში მიცემული იყო 9 კაცი. სასამართლომ გადაუწყვიტა ორს სიკვდილით დასჯა, ორს— კატორღა, ხუთი გაამართლა.

**მოსკოვი.** ოქტომბრისტების კრებამ, სხვათა შორის, საჭიროდ დაინახა, რომ სახელმწიფო სათათბირომ რაც შეიძლება მალე განიხილოს კანონპროექტი პიროვნების ხელშეუხლებლობის, განსაკუთრებულ წესების და სენატის რეორგანიზაციის შესახებ. ამას გარდა კრებამ დაადგინა, ეხლავე შეუდგეთ საერობო თვითმართველობის რეფორმას, პოლონეთში ქალაქების თვითმართველობის, რეფორმას და სხვა. კრების დადგენილებით წვრილ საერობო ერთეულში არჩევნებში ქალებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა. კრებისვე დადგენილებით ისეთ ერთეულებში, სადაც ერობა არ არის, დაუყონებლივ ერობა უნდა იქმნეს შემოღებული.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **უარი საბავშვო ბალზე.** როგორც აღვნიშნეთ, შარშან დაარსეს ქართული საბავშვო ბაღი. ისიც ეხსომებათ მკითხველებს, რომ ეს ბაღი ადგილობრივმა სამოსწავლო მთავრობამ აღკრძალა. შემდეგ თხოვნა სამინისტროში გაჰგზავნეს: აცნობებს ისიც, რომ ბაღს ოჯახური ხასიათი აქვს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სამინისტროდანაც უარი მოვიდა.

✦ **ტფ. ქალაქის საბჭო.** ხუთშაბათს, 8 ოქტომბერს, მოხდა ტფ. ქალაქის საბჭოს სხდომა. თავმჯდომარემ ბ-ნმა ალ. ხატისოვმა საბჭოს აცნობა გარდაცვალება მოღვაწისა და მწერლის ბათუმის ქალაქის გამგეობის წევრად ნამყოფის გრიგოლ ი. ვოლსკისა. აცნობა საბჭოს მისი მოღვაწეობა როგორც სამუნიციპალიტეტო, ისე სამწერლო ასპარეზზე. საბჭომ, გამგეობის დადგენილისამებრ, გადასწყვიტა სამძიმარი გამოუცხადოს ბათუმის ქალაქის გამგეობას და გვირგვინით შეამკოს განსვენებულის ცხედარი. ამის გარდა საბჭომ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულის ხსოვნას. შემდეგ საბჭომ რამდენიმე წვრილმანი საქმე განიხილა. 300 მან. დაუნიშნა ქ-ნ ვერმიშევის მიერ დაარსებულ ხელსაქმის სკოლას, 200 მან. საზოგადოებას „დეტსკი მირს“, 300 მან. ბავშვთა თავშესაფარს, 300 მან. კუკიის მალაკანთა საქველმოქმედო საზოგადოების სკოლას, ხოლო მასწავლებელ ქალთა საზოგადოების კურსს 140 მან. მიუმატა. ვერის ხიდის მოიჯარადრეს ივანე სვანიშვილს განცხადება შეუტანია ქალაქის გამგეობაში საიჯარო ფასის დაკლების შესახებ. სვანიშვილი სწერს, შეცდომაში შემიყვანეს და საიჯარო ვაჭრობაში მონაწილეობა მიმაღებინეს და ვზარალობო. სვანიშვილის შუამდგომლობა უარყოფილ იქმნა. საბჭომ შემდეგ მოისმინა მოხსენება ხმოსან ნ. ელიავასი მეეტლეთა გადასახადის შემცირების შესახებ. საბჭომ უარჰყო ხმ. ელიავას შუამდგომლობა და დაადგინა, მეეტლეებს სავსებით გადაახდევინოს გადასახადი. დასასრულ, საბჭომ მიიღო გამგეობის დადგენილება ხორცის ნიხრის 1 კაპეიკის შემცირების შესახებ.

✦ **მიხეილ გვერდწითლის მოკვლა.** სოფ. გომში 13 ენკენისთვეს მოჰკლეს მიხეილ გვერდწითელი. როგორც დაწვრილებით გავიგეთ, საქმე ასე ყოფილა. განსვენებული მიხეილ გვერდწითელი, გიორგი, ილია, და ზაქარა გვერწითლები და იოსებ მესხიძე სოფ. გომში (გორის მაზრა) გიორგი გვერდწითლის სამიკიტნოში შესულან და ვახშმის ჭამა დაუწყიათ. 10 საათზე უეცრად საშინელი სროლა ატეხილა ფანჯარებიდან. ყველას შიშის ზარი დასცემია და აქეთ იქით მიმალულა. როცა სროლა გათავებულა, აუნთიათ ლამფა და უნახავთ, რომ მიხეილ გვერდწითელი სასიკვდილოდ იყო დაჭრილი რამდენიმე ტყვიით. იგი ცოტა ხნის შემდეგ გარდაცვლილა. მკვლელები მიმალულან.

✦ **კნ. ციციშვილის გაცარცვა.** სოფ. კინცვისში (გორის მაზრა) კნ. ელენე ციციშვილის სახლში 8 ოქტომბერს ღამე შევარდა ერთი შეიარაღებული ბოროტ გამზრახველი. სახლში სულ [illegible] ყოფილა. უცნობებს [illegible] 70 მან. და სხვა [illegible] ვერცხლეული, სულ 170 მან. და მიმალულა.

✦ **თავდასხმა.** სააგენტოს სიტყვით, 8 ოქტომბერს ხუთი შეიარაღებული ბოროტგანზრახველი ბაქოში თავს დასცემია სასტუმრო „ევროპას“. მებუფეტესთვის კასის გასაღები მოუთხოვნიათ. უარის მიღების შემდეგ უცნობებს სასიკვდილოდ დაუჭრიათ შვეიცარი, მისი თანაშემწე და მძიმედ მეეზოვე. უცნობები გაქცეულან.

✦ **კავკასიის ერობა.** ამ ჟამად მოსკოვში ოქტომბრისტების კრებაა. კრებას საჭიროდ დაუნახავს რაც შეიძლება მალე შემოღებულ იქმნას ერობა კავკასიაში. კრებას სახელმწიფო სათათბიროს ოქტომბრისტების ფრაქციისთვის დაუვალებია შეეცადოს, რომ კრების სურვილი განხორციელდეს.

✦ **ფუნიკულერი.** ფინიკულერის მოძრაობა ეხლა დილის 10 საათზე იწყება და თავდება საღამოს 6 საათზე.

✦ **უპასპორტოები.** 8 ოქტომბერს გაჩხრეკის დროს პოლიციის მეოთხე ნაწილში დააპატიმრეს 10 უპასპორტო კაცი, ხოლო მე-9 ნაწილში 4 კაცი,

✦ **კაპიკიანი გაზეთი.** ტფ. მცხოვრებს ბ-ნ ერიციანს ნება მიეცა გამოსცეს ტფილისში კაპიკიანი გაზეთი სახელად „კაპეიკა“.

✦ **მცარცველნი.** „კასპის“ სიტყვით, ამ სამი დღის წინად ბაქოს საიდუმლო პოლიციისთვის შეუტყობინებიათ, რომ ბაქოს მახლობლად უცნობები მატარებლის გაცარცვას აპირებენო. საიდუმლო პოლიციას და ჟანდარმებს საჭირო ზომები მიუღიათ. შეუმჩნევიათ რომ საქონლის მატარებელზედ 2 უცნობი შემსხდარა. იმავ ვაგონზე, რომელზედაც უცნობები შემსხდარან, 2 ჟანდარმი ასულა და მატარებელს გაჰყოლია. ჟანდარმებს უცნობები საქვოდ უცვნიათ და დაუპატიმრებიათ, უცნობებს გაქცევა სდომებიათ, მაგრამ ამაოდ. უცნობებს აღმოაჩნდათ გასაღებები, ბურღები, რევოლვერები და სხვა.

✦ **სახალხო წარმოდგენა.** ქართულ დრამატიულ საზოგადოებამ გადასწყვიტა, მართოს სახალხო წარმოდგენები ძლიერ დაკლებულის ფასებით,—მანეთიდან ორ შაურამდე. წარმოდგენები გაიმართება შაბათობით. დღეს წარმოდგენილი იქნება ოსტროვსკის პიესა „უდანაშაულოდ დასჯილნი“, ივ. მაჭავარიანის თარგმანი. ეს პიესა ერთხელ უკვე წარმოადგინეს და სამაგალითოდ ჩაიარა. სხვათა შორის მონაწილეობას იღებენ ქ-ნნი ჩირგაძე და კოლხიდელი.

✦ 8 ოქტომბერს დააპატიმრეს საგენერალ-გუბერნატოროდან გადასახლებული და თავის ნებით დაბრუნებული კონსტანტინე იგნატიევი.

# გრიგოლ ვოლსკის წასვენება

გუშინ, 9 ოქტომბერს, ნაშუადღევის ოთხ საათზე წაასვენეს ტფილისიდან ბათუმში ცხედარი უდროოდ გარდაცვალებულ გრიგოლ ვოლსკისა. ამ დროსთვის ქვაშვეთის წმ. გიორგის ტაძარში შეიკრიბნენ ნათესავნი, პატივისმცემელნი, მასწავლებელნი, მოწაფენი, და დიდ-ძალი საზოგადოება. სიტყვები წარმოსთქვეს კ. აბაშიძემ, ა. ი. ხატისოვმა, პ. სურგულაძემ. ტაძრიდან ცხედარი ვოგზალზე წაასვენეს, ხოლო იქიდან ცალკე ვაგონით—ბათუმს. თან გაჰყვნენ ბათუმიდან ჩამოსული ადგილობრივ თვითმმართველობის წარმომადგენელნი. ცხედარი მიაცილეს ვოგზლამდე მოწაფეებმა დამასწავლებლებმა.

პოეტის გარდაცვალების გამო გუშინაც მივიღეთ დეპეშები:

**ქუთაისი.** ქუთაისის დრამატიულ საზოგადოების გამგეობა გულწრფელად ჰგლოვობს დაკარგვას ნამდვილ ქართველის და მოქალაქის გრიგოლ ვოლსკისას, რომელმაც მთელი სიცოცხლე საუკეთესო იდეალებს შესწირა.

**გორი.** გორელი ქართველი საზოგადოება აცხადებს გულითადო მწუხარებას ნიჭიერ პოეტის და პატიოსან სა-

---

როს საცხოვრებლად დიდ-კაცთა ცოლებს
პეტრეს ქალაქში გარდაასახლვენ!
მაშინ, სოფიო, რაღა გიშავთ თქვენ?
ხელმწიფეს ჰპოვებთ მამად კეთილად
და დედოფალსა დედისა ნაცვლად;
არ მოგაკლდებათ თავისუფლება,
განცხრომილება, ფუფუნეულება,
მათთა სიმდიდრის ჰალატთა შორის!
ვერ გაიგონებთ მუნ ხმასა მტერის.
მრავალთ სიამეთ იხილავთ ქვალად
ბანოვანთათვის გულ გასართობლად;
მაშინ ვისაღა მოესურვება,
ნახოს ქართლისა კვლავ ამოხება!“...

**სოფიო**

„უწინამც დღე კი დამელევა მე!
უცხოობაში რაა სიამე,
სადაც ვერავის იკარებს სული
და არს უთვისო, დაობლებული?
რა ხელ-ჰყრის პატივს ნაზი ბულბული
გალიაშია დატყვევებული!
და ველად იგი, ამხანაგთ შორის,
ჭირსაც, ვით ლხინსა, ერთგვარ დამღერის!
ესრეთ რას არგებს კაცსაც დიდება,
თუ მოაკლდება თავისუფლება?
თავის მამულში მას გაჭირება
სხვა და სხვა რიგად ენუგეშება;
მუნ სულსა სული თვისად მიაჩნის
და გულსა გულის პასუხი ესმის!“...

(მცირე დუმილს შემდეგ)

„რად დაგვრჩომია სხვაზედა თვალი,
ოდეს მეფეცა და დედოფალი
გვყვანან კეთილნი და ღირსეულნი,
და ვართ მათთანა შვილებრ ჩვეულნი?
ჩვენის დედოფლის გულისა ნაცვლად,
მწუხარებათა სანუგეშებლად,
რასა ვიპოვით ჩვენს სიცოცხლეში“
გულ გაყინულსა და მკაცრს რუსეთში?...

**მსაჯული** (აღტაცებით).

შენი ჭირიმე, შენი, „რომ გულსა
შენსას ვერ ვპოვებ მე ცვალებულსა!..“

(„გადაეხვევა მხურვალებით“ და ორივენი გადიან. ჩრდილი შეხედავს ბარათაშვილს, რომელიც აღტაცებულია და თვალს ვერ მოუშორებია სურათისთვის. მოისმის სიმღერა, რომელიც თან და თან ახლოვდება, და გამოჩნდება მომღერალთა გუნდი).

**გუნდი** (მღერის).

„ჰოი დედანო, მარად ნეტარნო,
კურთხევა თქვენდა ტკბილ სახსოვარნო!
რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ
სულიცა თქვენი გამოჰყოლოდათ!
ვინღა ჰყავს გულის შემატკივარი
მამულს ასული, ახლა თქვენგვარი?
ქარმან ჩრდილოსმან ყველაზედ პირველ
გარდაუცვალა მათ გული ცხოველ!
ჯანი გავარდეს აწ შვილსაც, მამულს,
ოღონდ ვაამოთ ჩვენს საკუთარს გულს;
რის ქართველობა, რა ქართველობა!
მითომ რას გვავნებს უცხო ტომობა?..“

(როცა სიმღერას გაათავებენ, მოისმის მუსიკის ხმა და გამოჩნდება პოეზიის მუზა, დაფნის გვირგვინით ხელში. ოთახი ძლიერად ნათდება. ბარათაშვილი, რაღაც უცნაურ, საიმსოფლიო ნეტარებით გამსჭვალული, გულზე მიყრდნობილი ჰკავს ახრდილს. მუზა მიდის ბარათაშვილთან და გვირგვინს ადგამს თავზე).

**გუნდი** (მღერის მუსიკის აკომპანიმენტს).

ვაშა ნიკოლოზ ბარათაშვილსა,
ვაშა დიდებულ მამულიშვილსა,
ვინც გაალმერთა თავისუფლება,
გააუკვდავა მშვენიერება;
ვინც დასტიროდა „ბედსა ქართლისას,“
„გაუქმებულსა ტაძარსა წმინდას“;
ვინც დაჰკვნესოდა „ცხოვრებას ფუჭსა“,
„სუმბულს, მოკლებულს სამშობლოს გულსა“,
„ამაოებას წუთის სოფლისას“
და „მარტოობას სულის ობლისას“!
ვაშა, ცოცხალი რომ მკვდარს არ ჰგავდა,
მყოფი სოფელში მისთვის ზრუნავდა;
რომ „გზა უვალი“, მისგან თელილი,
სამარადისოდ არის შთენილი
და მის შემდგომად მოძმესა შისსა
ვეღარ შეაკრთობს „სიძნელე გზისა“!
ვაშა დიდებულ მამულიშვილსა,
ვაშა ნიკოლოზ ბარათაშვილსა!..

(სიმღერის გათავების დროს ბნელდება. სიბნელეში უფრო და უფრო სუსტად, უფრო და უფრო შორიდან რამდენსამე ხანს კვლავ ისმის მუსიკის ხმა. როცა იგი სრულიად მიწყდება, კვლავ განათლდება და გამოჩნდება, რომ ტახტზე მხოლოდ მკვდარი ბარათაშვილი აწვენია).

დუტუ-მეგრელი.

ფ ა რ დ ა.

ზოგადი მოღვაწის გრიგოლ ვოლსკის გარდაცვალების გამო. **ნ. ლომოური.**

ამას გარდა ქუთაისიდან მოვიდა დეპეშები გ. ზდანოვიჩისაგან, ხელთუფლიშვილისაგან, ვლ. აბულაძისაგან, კონს. ბაქრაძისაგან, სალ. და იაზ. ბაქრაძისაგან, სერ. ბახტაძისაგან.

# თათბირი ერობის შესახებ

8 ოქტომბერს ნაშუადღევის 2 საათზე დაიწყო სხდომა. ეს სხდომა საყურადღებო იყო იმითი, რომ ამ დღეს გლეხებმა პირველად ამოიღეს ხმა და დაიცვეს წვრილი საერობო ერთეული.

სხდომის დაწყებისას თავ. ლ. ჯანდიერმა განაცხადა, რომ ჯერ კიდევ გუშინ მინდოდა მომეხადა ბოდიში, თუ კი ჩემის სიტყვებით რაიმე უსიამოვნება მივაყენე კრებას, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ ვისმეს პირადად შეურაცხება აზრადაც არა მქონია. მე უკანვე მიმაქვს ჩემი სიტყვები აკრონომის დემენტიევის შესახებ, მაგრამ ვტოვებ უფლებას, პასუხი გავცე იმ წერილს, რომელიც „გოლოს კავკაზიაში“ მოთავსებული და შეეხო დემენტიევის მოღვაწეობას ჩვენში. თავ. ბ. ი. თუმანიშვილის წინადადებით, კრებამ დაადგინა, სთხოვოს დემენტიევს განაგრძოს მონაწილეობა კრებაში.

თავ. ალ. მ. არგუთინსკიმ ჯერ კიდევ წინა დღეს წაიკითხა თავისი მოხსენება. მომხსენებელმა უმთავრესი ყურადღება მიაქცია წვრილ ერთეულს. მისი აზრით წვრილი საერობო ერთეული, ანუ სასოფლო ერობა შემდეგს საფუძველზე უნდა მოეწყოს: იგი უნდა იყოს სავალდებულო კავშირი. მისი ტერიტორია უნდა განისაზღვროს ეკონომიურ პირობათა ერთგვარობით. მაზრის საერობო კრებას უფლება უნდა მიეცეს სასოფლო ერობის საზღვრების გაშორკვევისა. რაოდენობა ტერიტორისა, რამდენადაც შესაძლებელია, ყველგან თანასწორი უნდა იყოს და უნდა შეიცავდეს ერთიდან ოთხ სოფლამდე. სასოფლო ერობა უნდა იყოს უწოდებრივო და მასში მონაწილეობის მიღების უფლება უნდა მიეცეს ადგილობრივ ინტელიგენციას. წვრილ საერობო ერთეულს უნდა ჰქონდეს განსაზღვრული უფლება გადასახადის გაწერისა. მას არ უნდა დაეკისროს არც სასამართლო და არც პოლიტიკური ფუნქციები. ცენზი სასოფლო ერობაში მონაწილეობის მისაღებად უნდა იყოს, არა მარტო ქონებრივი, არამედ განათლებითიც. აღმასრულებელი ორგანო კოლეგიალურის ხასიათისა უნდა იყოს ხმოსნები სამაზრო ერობისათვის უნდა არჩეულ იქმნენ სასოფლო ერობებში. სასოფლო ერობის სამოქმედო ფარგალი ისეთივე უნდა იყოს, როგორიც სამაზრო ერობისა მცირე ცვლილებებით. ფუნქციების განაწილება სასოფლო და სამაზრო ერობებს შორის შეთანხმებით უნდა მოხდეს. სასოფლო ერობის თანხას შეადგენს გაწერილი გადასახადი და ის ფული, რასაც სამაზრო თუ საგუბერნიო ერობანი გადასდებენ. შემდეგ მომხსენებელმა მოიყვანა წვრილ ერთეულის ანუ სასოფლო ერობის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა მოსაზრებანი. თითონ მომხსენებელმა უპირატესობა მისცა წვრილ ერთეულს და შეიტანა შემდეგი წინადადება: 1. საერობო ორგანიზაციის პირველ სახედ ცნობილ იქმნეს სასოფლო ერობა (წვრილი ერთეული); 2. გაყოფილ იქმნას ტფ. გუბერნია რამდენსამე დამოუკიდებელ წვრილ საერობო ერთეულად; 3. თუ ვინიცობაა ეხლავე შეუძლებელია გუბერნიის დაწვრილება, დარჩეს სექციის მიერ მიღებული 31 სარაიონო ერობა იმ პირობით, რომ ახალციხისა და თელავის მაზრები უფრო წვრილ ერთეულებად დაიყვნენ; 4. დებულებაში შეტანილ იქმნას განმარტება, რომ სამაზრო ერობას მიეცეს უფლება შესცვალოს წვრილ საერობო ერთეულების რიცხვი და მათი ტერიტორია და განსაზღვროს საზღვრები და 5. წვრილ საერობო ერთეულის გარდა, დაარსებულ იქმნას სამაზრო და საგუბერნიო ერობები.

მეორე მოხსენება იმავე საკითხის შესახებ წაიკითხა ბ-ნმა ალ. ბ. მდივანმა. ა. მდივანიც თავის ვრცელსა და დასაბუთებულს მოხსენებაში დიდს მნიშვნელობას აძლევდა წვრილ საერობო საერობო ერთეულს, სასოფლო ერობას, როგორც სახალხო ორგანიზაციას და ხალხის თვითმოქმედების განმამტკიცებელ დაწესებულებას. საზოგადო საქმეები,—სთქვა ბ-ნმა მდივანმა,—მრავალნაირი და ჭრელ-ფერისაა. ზოგი საქმე შეიძლება კაცმა შორიდანაც ადვილად გაითვალისწინოს, შეისწავლოს და განაგოს, ზოგი კი დაახლოვებას და ადგილობრივ დაკვირვებას თხოულობს. ამიტომ თვითმმართველობის ორგანოებში ზოგი ხალხთან უნდა იყოს დაახლოვებული, ზოგმა შორიდან უნდა გაუწიოს ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა. ერთი დაწესებულებანი ყოველ-დღიურ საჭირ-ბოროტო საკითხებზე იზრუნებენ, მეორე იმეცადინებენ უფრო რთულ საკითხებზე, რომელთაც აზრად ექნებათ მომავალში ხალხის აღორძინება და განახლება. ამ მოსაზრებებმა შექმნეს მშვენიერი სისტემა საერობო მართვა-გამგეობისა: სოფელი — წვრილი საერობო ერთეული, მაზრა საშუალო და გუბერნია—მსხვილი საერობო დაწესებულებანი. დღეს სოფლად მრავალი დაწესებულებანი მოქმედებენ. საჭირო შეიქმნა თვითმმართველი ორგანიზაცია ერთის განმასაზოგადოებლის დასაწყისით. გარდა ამისა, წვრილი ერთეული საჭიროა იმიტომაც, რომ საგუბერნიო და სამაზრო ერობები ვერა სწვდებიან ხალხს. რუსეთში საკითხი წვრილი საერობო ერთეულისა იმდენად მოწიფდა, რომ მალე განახორციელებენ კიდევაც. პირველი სექცია იმ აზრისა იყო, რომ ხალხთან დაახლოვებული საერობო ერთეული შემოიღონ. ნამდვილად კი სარაიონო ერობით საქმე არია და ერობა სოფელს დაშორა. სარაიონო ერობა, რომელიც შეიცავს—30-40,000 მცხოვრებს, წვრილ ერთეულს არ შეადგენს. ორატორმა ვრცლად განმარტა მნიშვნელობა წვრილ ერთეულისა და დასასრულ სთქვა, რომ საუკეთესო ფორმა საერობო თვითმმართველობისა არის სასოფლო (წვრილი ერთეული), შემდეგ სამაზრო და ბოლოს საგუბერნიო ერობათ.

ამავე საკითხის შესახებ მოხსენება წაიკითხა თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილმა, რომელმაც პრინციპიალურად საჭიროდ სცნო წვრილ ერთეულის შემოღება, მაგრამ ჯერ ნაადრევად ჩასთვალა,—არც სახსარია ამისთვის საკმაო და არც საკმაო მომზადებული ძალები გვყავსო. საუკეთესო ფორმად მცირე ერთეულისათვის თ. ჩ. ჩოლოყაშვილმა სარაიონო ერობა ჩასთვალა, რადგან 20—30,000 მცხოვრები ისეთ დიდ ტერიტორიაზე არ არის გაშლილი, რომ ვერ შესძლონ სოფლის გაჭირვების გაგება და დაკმაყოფილება. როდესაც ერობები მოღონიერდებიან, ხალხი თვით-მმართველობის საქმეში გაიწვრთნება, მცირე ერთეულის შემოღებაც შეიძლებაო.

მეოთხე მოხსენება ამავე საკითხის შესახებ წაიკითხა ბ-ნმა ქალანთარმა. ისიც პრინციპიალურად თანახმა იყო წვრილ ერთეულისა, მაგრამ ისიც უსახსრობას უჩიოდა,—ხარჯს ვერ გაუძლებთ. იმის აზრით, მთელი გუბერნია იმდენ ერთეულად უნდა გაიყოს, რომ თითოეულში 15—20,000 მცხოვრები იყოს.

ამ მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი.

**მიხ. გედევანიშვილი.** არა ვარ წინააღმდეგი წვრილ ერთეულისა, მაგრამ შეუძლებლად მიმაჩნია ეხლა მისი შემოღება, რადგან ასეთი ორგანიზაცია ჯერ რუსეთშიაც არ არის გამოცდილი და არ იციან პრაქტიკულად რა შედეგი მოჰყვება. ფინანსიური მოსაზრებაც მისაღებია მხედველობაში. ხალხი ამ ჟამად ისეა დაბეჩავებული, რომ მთლად გალატაკებულია. სასოფლო ერობათა მოწყობა უნდა მიენდოს სამაზრო ერობათა კრებებს.

**ტომაშევიჩი** (ახალციხე). ამ ხანად მარტო საგუბერნიო და სამაზრო ერობანი უნდა შემოვიღოთ. სხვა რომ არა იყოს რა, ინტელიგენტური ძალები არ მოიპოვება სოფლად.

**თავ. ბეგთაბეგოვი.** ეკონომიურ ერთფეროვნების მიხედვით იცავდა სარაიონო ერობას.

**ი. გულისაშვილი.** ასი წლის განმავლობაში მთავრობის მოქმედებამ გააქარწყლა ჩვენში უნარი თვითმართველობისა და თავის თავის მოვლა-პატრონობისა. სოფელს არ მოეპოვება სულ მცირე პროცენტიც-კი შეგნებულ და განსწავლულ ხალხისა. შეუძლებელია ამიტომ წვრილი სასოფლო ერობა. უცნობ საქმეს თავს ვერ მოვახვევთ მოუმზადებელ ხალხსო. მცირე ერთეულისთვის საკმაო ფულიც არ გვექნება. ამ ჟამად უკეთესი ფორმა საერობო თვით-მმართველობისა არის სამაზრო და საგუბერნიო ერობები.

**მეჭრაბოვი.** (შულავრის წარმომადგენელი) მომხრე იყო წვრილ ერთეულისა. სოფელი შესძლებს საჭირო ხარჯების გაღებას, განა ჩვენ თითონ არ ვინახავთ სასოფლო ქსენონებს, სკოლებს, ექიმებს და სხვას? არ დავიშურებთ მეტი ფული გავიწეროთ იმ საქმისათვის, რომელიც ჩვენვე გვიპატრონებს. გარდა ამისა, ჩვენი შრომა იგივე ფული არ იქნება? სოფელი შეერთდება, საერთო ძალით გზებსაც გაიყვანს და სხვა საქმესაც მოაწყობს (ტაში).

**გ. გვაზავა.** წვრილ ერობის წინააღმდეგი არავინ არის. პირველ სექციაში ყველამ საჭიროდ ვცანით სასოფლო ერთეულის შემოღება, მაგრამ როცა საქმე ახლო გავიცანით, ვნახეთ, რომ ჯერ-ჯერობით ამისათვის არც ფული გვაქვს, არც კაცები გვყვანან და ვამჯობინეთ ჯერ საგუბერნიო და სამაზრო ერობა, რომ შემდეგ თვით სამაზრო ერობამ მოაწყოს სასოფლო ერობა. ჩვენი ცხოვრება ისე უკუღმართად არის მოწყობილი, რომ იძულებულნი ვართ მაღლიდან ძირს წავიდეთ ნელ-ნელ და არა, პირ იქით, ძირიდან შევუდგეთ ჩვენის საერობო შენობის აგებასო.

**ალ. ხატისოვი.** მომხრეა ისეთ საერობო ერთეულისა, რომელიც შეიცავდეს 15—20,000 მცხოვრებს. ასეთი ერთეული შესძლებს თავის თავის პატრონობას. შემდეგ სარაიონო ერობამ უნდა მოაწყოს წვრილი ერთეული. ჩვენში საყოველთაო არჩევნებს არ შემოიღებენ, მაშასადამე, შეიძლება სამაზრო ერობაში თავად-აზნაურნი და მემამულენი ბლომად მოჰყვნენ, ეს უკანასკნელნი-კი ადვილად მისახვედრ მიზეზებისა გამო არ მოინდომებენ წვრილ საერობო ერთეულის შემოღებას.

**ა. საპკოვმა** დიდს ხანს ილაპარაკა. თითქმის გაიმეორა ალ. მდივანისა და ალ. არგუთინსკის მოსაზრებანი წვრილ ერთეულის შესახებ.

**გულისაშვილი** (ავჭალელი გლეხი). მოგვეცით მცირე საერობო ერთეული და არ დავიშურებთ ფულს იმ დაწესებულების შესანახად, რომელიც ჩვენივე კეთილდღეობისთვის იზრუნებს, ამასთან, რადგან გლეხებმა რუსული არ იციან, ვითხოვ ნება მისცეთ, ქართულად გამოსთქვან თავიანთი აზრი.

**მ. გუნაშვილმა** (სიღნაღის მაზრის გლეხი). კარგა ხანს ილაპარაკა და იცავდა წვრილ სასოფლო ერობას. წინად, სთქვა მან, რუსეთიდან დაბრუნებულ ჩემს ამხანაგს ვკითხე რუსეთის მდებარეობის შესახებ და მითხრა, მაღალ ადგილზე რომ ახვიდე და გადაჰხედო, მთელი გუბერნია თვალ წინ გადაგეშლებაო, ისე სწორი ადგილებიაო. ისეთ ადგილებში, სადაც ერთფეროვნებაა ბუნებისა და ჰავისა, შეიძლება არც კი იყოს საჭირო სასოფლო ერობა. ჩვენში კი, სადაც ხშირად ერთი ვერსის მანძილზე სხვა და სხვაობაა ჰავისა, ბუნებისა და ეკონომიურ ინტერესებისა, აუცილებლად საჭიროა მცირე ერთეული, რომ თითო კუთხეს თავის მდგომარეობის მიხედვით ცალკე ხელმძღვანელი ჰყავდეს. მაგ. ჩვენში სოფლები ჯუგაანი და მირზაანი ორი ვერსტით არ არიან ერთმანეთზე დაშორებულნი. მაგრამ ბუნება სხვა და სხვაა: ჯუგაანში მშვენიერი ღვინო მოდის, მირზაანის ღვინო კი არ დაილევა. ამბობენ, სოფელში შეგნებული პირები არ არიანო. ეს აზრი სიმართლეს მოკლებულია. მართალია, დიდი ნასწავლები არა ვართ, მაგრამ გარწმუნებთ კეთილ განზრახვებით აღჭურვილი მცირეს მცოდნე უფრო მეტს გააკეთებს, ვიდრე დიდი მეცნიერი, საეჭვო განზრახვის მატარებელი (ძლიერი ტაში). დროა, ბატონებო, ჩვენც გაგვანთავისუფლოთ აპეკუნობისაგან. გვეუბნებიან, საგუბერნიო და სამაზრო ერობებს შემოვიღებთ და იქ შევაჩვევთ ხალხს თვითმართველობასაო. რომ შემპირდეთ ხარატობის ხელობის შესწავლებას და სახარატო დაზგა კი აქ ვერსზე დასდგათ, ვერაფერს ვერ ვისწავლი. მოიტანეთ ახლო ეგ დაზგა, დამაყენეთ ზედ სამუშაოთ და კარგი ხელოსანი გავხდები. მე მომხრე ვარ წვრილ საერობო სასოფლო ერთეულისა. მაგრამ ტერიტორიისა და მცხოვრებთა რაოდენობის შესახებ წინ და წინვე ვერას ვიტყვი. ეს უნდა ადგილობრივ გამოირკვეს (ტაში).

**ი. ხ. ჯაბადარი.** სოფელში აღარ არის შეგნებული და ხალხის გულშემატკივარი და ამის შედეგია, რომ დღეს სოფელი საჭმელად ჩაუვარდათ ჩარჩებს და მოსემწერლებს. რომ სოფელს დაუბრუნდეს გულ-შემატკივარი და გულ-წრფელი ინტელიგენცია, საჭიროა საერთო ნიადაგი და ეს ნიადაგი იქნება მცირე საერობო ერთეული. უნდა უსათუოდ უწოდებრივო მცირე ერთეული შემოვიღოთ.

ილაპარაკა ბევრმა სხვამაცა. წვრილ ერთეულების წინააღმდეგნი იყვნენ თავ. ალ. ჯანდიერი, თავ. ჯორჯაძე, ახალციხელი ფალავანდიშვილი; მომხრენი ქალანთარი, სადიხოვი (ბორჩალო) და გლეხი სოლოღაშვილი (კახეთი). სოლოღაშვილმა სხვათა შორის სთქვა: როცა სანთელი ახლო იქნება, უფრო კარგად გაგვინათებსო.

სხდომა საღამოს 7 საათზე დასრულდა.

# რუსეთი

**საინტერესო დადგენილება.** ამ რამდენიმე ხნის წინედ ბ-ნმა ვაკარმა კიევის გუბერნატორს სთხოვა, ნება მომეცით გაზეთი გამოვცე, გაზეთში სოციალ-დემოკრატიულ აზრებს დავიცავო. გუბერნატორმა ვაკარს უარი უთხრა. ვაკარმა გუბერნატორის დადგენილება სენატში განასაჩივრა. სენატს განუხილია ვაკარის თხოვნა და დაუდგენია. ვაკარს შეუძლიან გაზეთი გამოსცეს და სოციალ-დემოკრატიული აზრები დაიცვას, ეს რუსეთის კანონებს არ ეწინააღმდეგებაო.

**სიკვდილით დასჯილთა სტატისტიკა.** „რუსკ. ვედ.“-ს სიტყვით 1-30 სექტემბრიდან სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტიათ 134 კაცისთვის, სიკვდილით დაუსჯიათ 31 კაცი. სულ პირველ იანვრიდან 30 სექტემბრამდის სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტიათ 1,031 კაცისთვის, სიკვდილით დაუსჯიათ 447 კაცი.

**გლეხების დადგენილება.** „რეჩ“-ს ეკატერინოსლავიდან დეპეშით ატყობინებენ: სოფელ ვლადიმიროვსკას (ეკატერინოსლავის გუბერნია) გლეხებმა ნოვოასკოვის სამაზრო ერობის გამგეობაში განცხადება შეიტანეს, ოღონდ ჩვენი სოფლის საზოგადოების სკოლები სამღვდელოებას ჩამოართვით და სკოლებს ჩვენ თვითონ შევინახავთო.

**ახალი საზოგადოება.** ამ ორისამი თვის წინად ვწერდით, რუსეთში განზრახული აქვთ დაარსონ საზოგადოება, რომელსაც მიზნად ექნება რუსეთში მცხოვრებ ერების დაახლოვება და გაცნობა. „რეჩი“-ს სიტყვით 3 ოქტომბერს მომხდარა ამ საზოგადოების დამაარსებლების კრება. კრებას დასწრებიან მაკლაკოვი, ტესლენკო, პრივატ-დოცენტი კუზმინსკი, ა. ი. ჯამგაროვი და სხვები. კრებას გადაუწყვეტია ამ მოკლე ხანში მოიწვიონ დამფუძნებელი კრება. ახალი საზოგადოება „რუსეთში მცხოვრებ ერების ერთობა“ ხელს შეუწყობს თვითეულ ერის ეკონომიურ და უფლებრივ გათვითცნობიერებას, ერების დაახლოვებას და სხვა. საზოგადოების დამფუძნებელ კრებაზე ილაპარაკებენ პროფესორი ვულფი, მაკლაკოვი, პრივად-დოცენტი კოტლიარევსკი და სხვები.

**სამხედრო სასწავლებლებში.** სამხედრო სასწავლებლების მთავარ გამგეობას სამხედრო სასწავლებლების დირექტორებისთვის მოუწერია, სასტიკად ადევნეთ თვალყური, რომ სასწავლებელში არალეგალური ლიტერატურა არ გავრცელდეს და თუ რომელიმე მოსწავლეს არალეგალური ლიტერატურა აღმოაჩნდა, დაუყოვნებლივ გამორიცხეთ სასწავლებლიდან და ამასთან ერთად სრულ წლოვანები სამხედრო სამართალში მიეცითო.

**უარის თქმა.** 2 ოქტომბერს რიაზანის ოლქის სასამართლოს უნდა გაერჩია რამდენიმე კაცის საქმე, რომელთაც რიაზანში ებრაელების აწიოკება ბრალდებოდათ. ბრალდებულების დამცველად სასამართლომ ნაფიცი ვექილი როდზევიჩი დანიშნა, მაგრამ როდზევიჩმა უარი განაცხადა მშვიდობიან ხალხის ამწიოკებლებს ვერ დავიცავო. როდზევიჩს სამართალში აძლევენ (რეჩი).

**არეულობა სატუსაღოში.** დეპეშებიდან უკვე ვიცით, რომ ობსკის (ფერგ. ოლ.) სატუსაღოში ტუსაღებმა არეულობა მოახდინეს, რის დროსაც დარაჯებმა მოჰკლეს 9, დასჭრეს 10 ტუსაღი. ტუსაღებმა თავის მხრივ მოჰკლეს და დასჭრეს რამდენიმე დარაჯი და ზედამხედველი. „რუსკ. სლოვ.“-ს კორესპონდენტის სიტყვით საქმე ასე ყოფილა: ობსკის სატუსაღოში ტუსაღები ყოველ დღე სასეირნოდ გამოჰყავთ. 2 ოქტომბერს, როდესაც ტუსაღები სასეირნოდ გამოიყვანეს, სალდათებმა შენიშნეს. რომ კატორგა გადაწყვეტილები რალაცაზედაც ჩურჩულებდნენ. მალე კატორგელები მოუახლოვდნენ სალდათებს. სალდათებმა თვალის დახამხამებაც კი ვერ მოასწრეს, რომ კატორგელები გარს შემოეხვივნენ და და ზოგიერთ სალდათებს იარაღი აჰყარეს. კატორგელები იარაღის წართმევის შემდეგ ზედამხედველებს მისცვივდნენ იარაღის წასართმევად. კატორგელებმა ერთ ზედამხედველს ყელში წაუჭირეს და ახრჩობდნენ, მაგრამ ერთმა სალდათმა ესროლა თოფი და ორი ტუსაღი იქვე მოჰკლა. ტუსაღები აქეთ-იქით გაიფანტნენ და სროლითვე უპასუხეს სალდათებს. ერთი კატორგელი იმ ოთახისკენ გაიქცა, სადაც ჩვეულებრივ ტუსაღები იყვნენ. ტუსაღებმა კატორგელს იარაღი წაართვეს და კარში გამოაგდეს. სწორედ ამ კატორგელს დაედევნა ციხის უფროსი რამდენიმე სალდათით. ციხის უფროსს ეგონა არეულობაში მონაწილეობას ეს ტუსაღებიც იღებენო და სალდათებს უბრძანა „ესროლეთო“. სროლის შემდეგ ტუსაღები ტახტის ქვეშ დაიმალნენ სალდათებმა მეორედ ესროლეს ტუსაღებს და რამდენიმე კაცი მოჰკლეს და დასჭრეს. კატორგელები მაინც გამაგრდნენ და არა ჰნებდებოდნენ სალდათებს. რაკი სატუსაღოში მყოფმა დარაჯებმა ვერ მოახერხეს არეულობის ჩაქრობა, სატუსაღოს უფროსმა ერთი როტა სალდათი გამოიწვია. სალდათები ახლო-მახლო სახლების სახურავებზე ავიდნენ და იქიდან სატუსაღოს დაუშინეს თოფები. როდესაც ტუსაღებს პატრონები გამოელიათ, სალდათებს დაჰნებდნენ. არეულობის მეთაურებმა თავი მოიკლეს.

(რუს. სლ.)

**„ჭეშმარიტ რუსთა კავშირი“.** იუსკევიჩ-კრასკოვსკის „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ მთავარ საბჭოსთვის წერილი მოუწერია. „კავშირის“ მთავარი საბჭო ძალიან დაუღონებია ამ წერილს. იუსკევიჩი იწერება, როგორც სჩანს დუბროვინს აღარ ვახსოვარ და არ უნდა დაგეხმაროს, მაგრამ იცოდეს, რომ მე მეისეთი საბუთები მაქვს, რომ ცუდად წაუვა საქმეო.

**სტუდენტების კრება.** ამ ორი დღის წინად ცნობა გვქონდა, რომ 4 ოქტომბერს პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტებმა კრება მოახდინეს ფერრერის სიკვდილით დასჯის გამო. კრებას დასწრებია 2000 სტუდენტი. დიდი ხნის ცხარე კამათის შემდეგ კრებას მიუღია სოციალისტ-რევოლიუციონერების რეზოლიუცია. რეზოლიუციაში სტუდენტები პროტესტს აცხადებენ ფერერის სიკვდილით დასჯის გამო. კრებას გადაუწყვეტია, ეს რეზოლიუცია, სხვათა შორის, ესპანიის საელჩოს გაუგზავნოს. კრების დასრულების შემდეგ ზოგიერთ სტუდენტებს მოუთხოვნიათ, ერთი დღით გავიფიცნეთო, მაგრამ კრებას არ შეუწყნარებია ეს. როდესაც პოლიციას გაუგია, სტუდენტებს კრება აქვთო, უნივერსიტეტის ახლო-მახლო ქუჩები სულ პოლიციელებით გაუვსიათ, მაგრამ რაკი სტუდენტებს წესიერება არ დაურღვევიათ, პოლიციელები დაშლილან.

**მემარჯვენეების დადგენილება.** სახელმწიფო სათათბიროს მემარჯვენეების ფრაქციას საიდუმლო თათბირი ჰქონია. მემარჯვენეებს დაუდგენიათ შეეცადნენ, რომ რაც შეიძლება მალე გამოჰყონ ფ ნლიანდიას ვიბორგის გუბერნია. მემარჯვენების აზრით მაშინ დუბროვინის საქმე რუსეთის სასამართლოს გაეცემა. ამას გარდა ფრაქციას დაუდგენია სათათბიროს თავმჯდომარის არჩევნების დროს ხომიაკოვი გააშავონ.

**მკვლელობა.** ამ დღეებში პეტერბურგში მოჰკლეს ერთი უცნობი. როგორც გამოირკვა, ეს უცნობი ამ რამდენიმე დღის წინად პარიზიდან გამოქცეული. საქმე ამნაირად ყოფილა: ეს უცნობი პოლიციის აგენტი ყოფილა, რევოლიუციონერებთან ერთად უმუშავნია, რევოლიუციონერებს გაუგიათ, რომ ის პროვოკატორია და მისი მოკვლა განუზრახავთ, მაგრამ უცნობს დაუსწრია და პეტერბურგს გამოქცეულა. რევოლიუციონერებს უცნობისთვის დაუდევნებიათ მუშა ფედოროვი (იოლოსის მკვლელი). ფედოროვი პროვოკატორს პეტერბურგამდის ჩამოჰყოლია და აქ მოუკლავს. ამასთან ფედოროვს უცნობისთვის თავის ტყავი აუძვრია და თან წაუღია, რომ რევოლიუციონერები დაარწმუნოს, კომიტეტის განაჩენი სისრულეში მოვიყვანეო.

**ეპისკოპოსის სამართალში მიცემა.** სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, მთავრობას სისხლის სამართალში მიუცია ნარვის ეპისკოპოსი ანტონინი. ანტონინმა ამ რამდენიმე ხნის წინად თავის სამწყსოს მოწოდებით მიჰმართა, თვითმპყრობელობა ქრისტიანობის წინააღმდეგიაო.

# განცხადებანი


**კიროვლი კერძო სამკურნალო**

**დოქტ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

**დილით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანახოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.

**ნ. ვ. ალბრეხტი:** 12—1¼ ს. შინ. და ბავშვ.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.

**საღამოთი:**

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6¼ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(წ.—1—190)



კახეთის მევენახეთა ღვინის დამყენებელ

ვლეხთა ამხანაგობა

**„კახეთი“**

Товарищество крестьянских кахетинских виноградовладельцев

„Kaxetiu“

ამ ეტიკეტით იყიდება ჩვენი ღვინო ყველა საბჭოლეჯოს მაღაზიებში და სასმელების დუქნებში.

10 ბოთლს ზევით ვგზავნებით ჩვენის ხარჯით ტფილისში.

По такой этикет продается наше вино во всѣхъ бакалейныхъ магазинахъ и питейныхъ заведенiяхъ.

Свыше 10 бут. доставляется нашимъ подводомъ въ Тифлисѣ.

Адресъ: Тифлисъ, Русская ул. № 7. Михаилу Никол. Кодалову.

Русская улица домъ Шереметьева № 2

(100—б—1)






# ალექსანდრე როსტომის-ძე თაბაგარის

## მაღაზია ქ. ქუთაისში.

ზომიერ ფასებში როგორც ნაღდზედ, ისე ნისიადაც თვიური გადახდით, ვყიდი საუკეთესო საკერავ და ჩულქის საქსოვ მაშინებს, გრამოფონებს და მათ მოწყობილებას,

საქონელს ვღებულობ საზღვარ-გარეთის საუკეთესო და ბევრჯელ დაჯილდოვებულ ქარხნებიდან, **მაშინები მაღალ ხარისხოვანია** და ბევრად უფრო გაუმჯობესებული **„სისტემა ზინგერ“-ზე.** საქონლის სიკარგეში ვიძლევი გარანტიას ათი წლით უფასო შესწორებით, ქარგვას და ჩულქის მაშინებზე ქსოვას ჩვენ თვითონ ვასწავლით.

აგენტები გვყავს და ჩვენი საქონელი იყიდება შემდეგ ადგილებში: სამტრედია, ხონი, ყვირილა, ჭიათურა, ონი, აბაშა, სვირი, ბაღდადი, ლანჩხუთი და სხვაგან. ბის გამოგზავნითაც შეიძლება საქონლის დაბარება და თუ საქონელი მოსაწონი არ იქნება, ფულს უკან უბრუნებთ. წერილობით მიწერ-მოწერაზე, პასუხს სწრაფად ვიძლევით.

**ადრესი:** А. Р. Табагари, г. Кутаисъ.

(100—б—78)